პროლეტარიელებო, ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტის და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 32-ე წელი

პარასკევი, 22 თებერვალი, 1952 წ. № 45 (9205). ფასი 20 კაპ.

დღეს გაზეთში

რაიონული სასოფლო-სამეურნეო გამოფენა — მოწინავე (1-ლი გვერდი).
მოსკოველ მეავტომობილეთა პატრიოტული თაოსნობის პასუხად (1-ლი გვერდი).
ფოლადის ჩქაროსნული დნობის მეთოდი (1-ლი გვერდი).
კომუნიზმის დიად მშენებლობათა დაკვეთების შესასრულებლად (მე-2 გვერდი).
ხალხთა გრძოლა კოლონიური ჩაგვრის წინააღმდეგ—„პრავდის“ 21-II მოწინავე (მე-2 გვერდი).
საბჭოთა მთავრობის პასუხი გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის მიმართვაზე სსრ კავშირის, ამერიკის შეერთებული შტატების, დიდი ბრიტანეთისა და საფრანგეთის მთავრობებისადმი (მე-2 გვერდი).
ფართოდ გავაჩაღოთ ინოვაციონერი ტორი ფეიქრების თაოსნობა (მე-3 გვერდი).
ვ. ტოგონიძე — „ამდგომლობიერი ბრიგადის იდეური აღზრდის გაუმჯობესებისათვის (მე-3 გვერდი)
რევიზორი ჭურლულია და ძმანი მისნი... (მე-3 გვერდი).
უცხოეთის ინფორმაციები (მე-4 გვერდი).

რაიონული სასოფლო-სამეურნეო გამოფენა

ბოლშევიკურმა პარტიამ სოფლად მზრუნველობით გამოზარდა ახალი კადრები, რომლებსაც მეცნიერებისა და ტექნიკის თანამედროვე მიღწევების გამოყენებით, თავიანთი პრაქტიკული გამოცდილების საფუძველზე მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვთ ჩვენს ქვეყანაში სოფლის მეურნეობის პროდუქტების სიუხვის შექმნის საქმეში. საკოლმეურნეო სოფლის ნოვატორებმა ბევრი ახალი ღონისძიებით გაამდიდრეს აგროტექნიკა. „... **მეცნიერებისა და ტექნიკის ახალ გზებს,** — აღნიშნავს დიდი სტალინი, — **ზოგჯერ კაფავენ არა მეცნიერებაში საყოველთაოდ ცნობილი ადამიანები, არამედ მეცნიერულ სამყაროში სრულიად უცნობი ადამიანები, უბრალო ადამიანები, პრაქტიკოსები, საქმის ნოვატორები**“.

მეცნიერების მიღწევებისა და სოფლის წარჩინებული ადამიანების გამოცდილების ფართო პროპაგანდა და გავრცელება დიდი სახელმწიფოებრივი საქმეა. ამ მხრივ მნიშვნელოვან როლს ასრულებს რაიონული სასოფლო-სამეურნეო გამოფენები.

რაიონული სასოფლო-სამეურნეო გამოფენა მოწინავეთა გამოცდილების სკოლაა, თავისებური საკოლმეურნეო უნივერსიტეტია. გასულ წელს საქართველოში სასოფლო-სამეურნეო გამოფენები მოწყობილი იყო 23 რაიონში. მათში მონაწილეობა მიიღო 361 მოწინავე კოლმეურნეობამ, 9 საბჭოთა მეურნეობამ, 4 მტს-მა, 14 სამეცნიეროსაკვლევმა დაწესებულებამ, მეცხოველეობის 332 საკოლმეურნეო ფერმამ, მემინდვრეობის 259 ბრიგადამ და სოფლის მეურნეობის 1.504 მოწინავემ. გამოფენები დაათვალიერა დაახლოებით 60 ათასმა კაცმა. კარგად მოაწყეს გამოფენები წულუკიძის, წყალტუბოს, ქუთაისის, ყვარლის, ლაგოდეხის და სხვა რაიონებმა.

მიუხედავად გამოფენის დიდი მნიშვნელობისა, შარშან ის ზოგიერთ რაიონში არ მოაწყეს ან თუმცა მოაწყეს, მაგრამ არაორგანიზებულად. თეთრი წყაროს და ლანჩხუთის რაიონებში გამოფენის მოუწყობლობა უმინდობით (!) ახსნეს, აბაშაში ეს საქმე იმ მოტივით გადადეს, რომ რაიონს სათანადო გამოცდილება არ აქვსო (!). გამოფენები არ მოუწყვიათ აგრეთვე კასპის, ახალქალაქის, ბოგდანოვკის, გარდაბნის, ყაზბეგის, წითელწყაროს რაიონებში. უფერულად, სახელდახელოდ მოაწყეს გამოფენები ზესტაფონის, თელავისა და წალენჯიხის რაიონებში. ეს და ამის მსგავსი ფაქტები უნდა აიხსნას ადგილობრივი პარტიული, საბჭოთა ორგანიზაციების, სასოფლო-სამეურნეო ორგანოების მიერ გამოფენის მნიშვნელობის აშკარა შეუფასებლობით.

წელს სასოფლო-სამეურნეო გამოფენა ყველა რაიონში უნდა მოეწყოს. პარტიულმა და საბჭოთა ორგანიზაციებმა უნდა უზრუნველყონ გამოფენის მაღალიდეური დონეზე მოწყობა და გააძლიერონ დახმარება რაიონული საგამოფენო კომიტეტებისადმი.

რაიონული სასოფლო-სამეურნეო გამოფენა იმ შემთხვევაში შეასრულებს თავის ამოცანას, როცა მიმზიდველად მოუთხრობს მოწინავეთა გამოცდილების მუშაობის მეთოდებსა და ხერხებზე, როცა ნათლად იქნება წარმოდგენილი სიახლე აგროტექნიკაში, სასოფლო-სამეურნეო ტექნიკასა და შრომის ორგანიზაციაში, რის საფუძველზეც კოლმეურნეობებმა, საბჭოთა მეურნეობებმა, მტს-ებმა, მემინდვრეობისა და სატრაქტორო ბრიგადებმა, რგოლებმა, მეცხოველეობის ფერმებმა და სოფლის მეურნეობის ნოვატორებმა მოიპოვეს წარმატებანი.

რაიონულმა საგამოფენო კომიტეტებმა ამთავითვე ფართოდ უნდა გააჩაღონ გამოფენისათვის მზადება. ამ საქმეში ისინი კონკრეტულ დახმარებას მოელიან სასოფლო-სამეურნეო პროპაგანდის ორგანოებისაგან.

ადგილობრივი პირობების გათვალისწინებით გამოფენაში მონაწილეობისათვის დაწესებულია სათანადო მაჩვენებლები. სასოფლო-სამეურნეო ორგანოების მუშაკები, აგიტატორები მოწოდებული არიან კოლმეურნეებს, საბჭოთა მეურნეობებისა და მტს-ების მუშებს გააცნონ გამოფენაში მონაწილეობის პირობები. პარტიული ორგანიზაციების უმნიშვნელოვანესი ამოცანაა სათავეში ჩაუდგნენ მასების თაოსნობას და ყოველმხრივ შეუწყონ ხელი სოციალისტური შეჯიბრების გაჩაღებას სოფლის მეურნეობის განვითარების 1952 წლის სახელმწიფო გეგმის მთლიანად და გადაჭარბებით შესრულებისათვის, გამოფენაში მონაწილეობის უფლების მოპოვებისათვის.

რაიონული სასოფლო-სამეურნეო გამოფენა საკავშირო სასოფლო-სამეურნედ გამოფენაში მონაწილეობის მისაღებად მზადყოფნის ერთგვარ შემოწმებას წარმოადგენს. ამიტომ რაიონულმა გამოფენებმა უნდა გამოავლინონ და ხელი შეუწყონ საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენის საუკეთესო მონაწილეებისა და თვალსაჩინო ნატურალური ექსპონატების შერჩევას.

დიდი მნიშვნელობა აქვს იმას, რომ გამოფენებზე იკითხებოდეს სოფლის მეურნეობის კვალიფიციური სპეციალისტების, მეცნიერ მუშაკების ლექციები და მოხსენებები მოწინავე საბჭოთა აგრობიოლოგიური მეცნიერების მიღწევებზე, განსაკუთრებით სოფლის მეურნეობის ნოვატორთა მოხსენებები მათი მუშობის მეთოდებზე.

გულდასმით უნდა მოეწყოს სოფლის მეურნეობის მოწინავეთა გამოცდილების ყოველმხრივ შესწავლა. გამოფენებზე უნდა ეწყობოდეს კოლმეურნეთა, მექანიზატორთა და სოფლის მეურნეობის სპეციალისტთა მასობრივი ექსკურსიები. სასურველია გამოფენები დაათვალიერონ აგრეთვე მეზობელი რაიონების კოლმეურნეებმა. საგამოფენო კომიტეტებმა უნდა იზრუნონ სექციკურსიო საქმის მცოდნე კადრების მომზადებისათვის.

საჭიროა გამოფენებზე მოეწყოს საკონსულტაციო ბიურო, მეცნიერულ-პოპულარული კინოფილმების, კონცერტების, წარმოდგენების ჩვენება, სამხატვრო თვითმოქმედი კოლექტივების გამოსვლა, რადიოგადაცემა.

გამოცდილების გაზიარების საუკეთესო საშუალებაა საკოლმეურნეო წარმოების ამა თუ იმ დარგის ნოვატორთა შეხვედრა გამოფენის მონაწილეებთან. შეხვედრის საღამოები გამოცდილების გაზიარების ნამდვილ კერად უნდა გადაიქცეოთ.

დიდი ამოცანები ელას რაიონული პრესის მუშაკთა წინაშე. ისინი მოწოდებული არიან სისტემატურად გააშუქონ სასოფლო-სამეურნეო გამოფენის მუშაობა, გაზეთის ფურცლებზე ღრმა ანალიზი გაუკეთონ კოლმეურნეობათა ეკონომიკის ზრდას, უჩვენონ უხვი მოსავლის ოსტატთა, მექანიზატორთა და მეცხოველეობის აღმავლობისათვის მებრძოლთა დადებითი გამოცდილება და, რაც მთავარია, გააშუქონ, თუ რა აგროტექნიკურ ღონისძიებათა განხორციელებით, შრომის როგორი ორგანიზაციით მიაღწიეს ნოვატორობას სოფლის მეურნეობაში; მოითავსონ ხელმძღვანელი საკოლმეურნეო კადრების, სპეციალისტების, საკოლმეურნეო წარმოების ნოვატორების წერილები, აქტიურად მიიზიდონ ამ საქმეში რედაქციის გარეშე ავტორები. რაიონული გაზეთები ვალდებული არიან დროზე გამოავლინონ ნაკლოვანებანი და გაბედული კრიტიკით დაეხმარონ პარტიულ და საბჭოთა ორგანიზაციებს გამოფენის საუკეთესოდ მომზადებასა და მოწყობაში.

სოფლის მეურნეობის მოწინავეთა გამოცდილების შესწავლა, მისი მეცნიერულად განზოგადება და პროპაგანდა პარტიული ორგანიზაციების დიდმნიშვნელოვანი საქმეა. რაიონული სასოფლო-სამეურნეო გამოფენები სერიოზულად დაეხმარება მათ ამ ამოცანის წარმატებით გადაჭრაში.

ДЕНЬ ФРАНГИ МЕЧЕРЛИ ХЕОВНИСАТВИС

ЛЕНИНГРАДИ, 19 თებერვალი. (საკლესი). ლენინგრადის საზოგადოებრიობა ღღნიშნავს დიდი ფრანგი მწერლის ვიქტორ ჰიუგოს დაბადების 150 წლისთავს.

კლუბებში, საწარმოებში, ინსტიტუტებში ეწყობა საუბრები და ლექციები ვ. ჰიუგოს შესახებ. საჯარო ლექციები მოაწყეს პოლიტიკური და მეცნიერული ცოდნის გამავრცელებელი საკავშირო საზოგადოების ლენინგრადის განყოფილებამ, ა. ა. ჟდანოვის სახელობის უნივერსიტეტის ლექტორიუმმა.

უმაღლეს სასწავლებლებში, ბიბლიოთეკებსა და კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებებში ეწყობა ვ. ჰიუგოს ცხოვრებისა და შემოქმედებისადმი მიძღვნილი გამოფენები. გამოფენებზე წარმოდგენილია მისი ნაწარმოებნი „კაცი, რომელიც იცინის“, „ზღვის მშრომელნი“ და სხვები, აგრეთვე მთელი რიგი მასალები, მათ შორის სტატია „შვიდობის მეგობართა“ პირველი საერთაშორისო ყრილობის შესახებ, რომელიც 1849 წელს გაიმართა ვიქტორ ჰიუგოს თავმჯდომარეობით.

ლიტერატურულ საღამოზე გაზას სახელობის კულტურის სახლში რუსულ დამსახურებულმა არტისტმა ნ. კომაროვსკიამ წაიკითხა რომანის „გავროშის“ მიხედვით შედგენილი კომპოზიცია. ფილარმონიის მსახიობები ქალაქის კლუბებში კითხულობენ მწერლის ნაწარმოებთა ნაწყვეტებს. ახალი თეატრი ლაამს ჰიუგოს ცნობილ დრამას „მარიონ დელორმს“.

მოსკოველ მეავტომობილეთა პატრიოტული თაოსნობის პასუხად

ამცირებენ ლითონის ხარჯვას

თბილისის მექანიკური ქარხნის მუშები და ინჟინერ-ტექნიკოსები ერთსულოვნად გამოეხმაურნენ ახალგაზრდა მოსკოველი ხარატების პატრიოტულ თაოსნობას და გააჩაღეს სოციალისტური შეჯიბრება თვითეულ ნაკეთობასა და დეტალზე ლითონის ხარჯვის შემცირებისათვის.

მექანიკური საამქროს კოლექტივმა ამწე მექანიზმის ღრუეანი ღერძების დამზადება ლითონის ჯართიდან დაიწყო. მუშებმა ჯართიდან ამოარჩიეს ამ დეტალის დასამზადებლად ვარგისი რკინის ნაჭრები და მარტო იანვარში 1.500 კილოგრამი ლითონი დაზოგეს. საამქროში ლითონის ჯართის შესაგროვებლად გამოჰყვეს ცალკე კუთხე, შემოიღეს თვითეული ხარატის მიერ დაზოგილი ლითონის ზუსტი აღრიცხვა, დაზგებზე საჭრისები და ფარები ისე მოაწყეს, რომ არც ერთი გრამი ნაჩარხი აღარ იკარგება.

ამას წინათ საამქროს დაევალა ლითონის ჯაჭვების დამზადება შამპანკომბინატისათვის. საამქროს კოლექტივმა ეს სამუშაო მთლიანად რკინის ნარჩენებისაგან შეასრულა, საუკეთესო ხარისხის პროდუქცია გამოუშვა და 1.200 კილოგრამი ლითონი დაზოგა.

ლითონის ეკონომიას საამქროში იმითაც აღწევენ, რომ მოწინავე ხარატები შეუდგნენ ვიწროპირიანი საჭრისებით მუშაობას. ამ საჭრისის გამოყენებით ხარატმა ვ. ნიკოლაიშვილმა ლითონის ერთი ზოდიდან 5-ის ნაცვლად 6 დეტალი დაამზადა. სტახანოველებმა ნ. რუსიშვილმა და რ. სტეფანიანმა ისე მოაწყეს მილისების გაჩარხვის სამუშაო, რომ თვითეულ დეტალზე 50 გრამი ლითონის ეკონომიას აღწევენ.

სამსხმელო საამქროში შექმნეს კომპლექსური ბრიგადა ლითონის ხარჯვის შემცირების საშუალებათა გამოსანახავად. ამ საამქროს სტახანოველმა ოგანეზოვმა შეცვალა ამწე მექანიზმის ერთერთი დეტალის ჩამოსხმის ტექნოლოგია. ამ დეტალის გამოსაჩარხავად წინათ ზოდურ სხმულს ამზადებდნენ, შემდეგ კი მექანიკურ საამქროში გულს გამოუღებდნენ. ლითონმსხმელმა ოგანეზოვმა ისეთი ყალიბი გაამზადა, რომლითაც შეიძლება ღრუ სხმულის ჩამოსხმა ამ დეტალის დასამზადებლად. ამით თვითეულ დეტალზე ლითონის ხარჯვა 300 გრამით შემცირდა.

ქუთაისელ მეავტომობილეთა ვალდებულება

ქუთაისის საავტომობილო ქარხნის ახალგაზრდობა აქტიურად გამოეხმაურა მოსკოველ მეავტომობილეთა შესანიშნავ თაოსნობას თვითეულ ნაკეთობაზე ლითონის ხარჯვის შემცირების შესახებ. ამ დღეებში შედგა ქარხნის სამსხმელო საამქროს მუშების, ოსტატებისა და ტექნოლოგების კრება, რომელმაც განიხილა ლითონის ეკონომიისათვის სოციალისტური შეჯიბრების გაჩაღების საკითხი. კომკავშირელმა სტახანოველმა მეყალიბემ ი. ბალსამოვილმა შემუშავა რაციონალიზატორული წინადადება, რომლის განხორციელებით წლის განმავლობაში 12 ტონა ფოლადი იქნება დაზოგილი. ახალგაზრდა ბრიგადირმა შ. კიკვაძემ იკისრა საყალიბო განყოფილებაში რაციონალიზატორულ წინადადებათა განხორციელებით და წუნის შემცირებით წელს 30 ტონა თუჯი დაზოგოს. კომკავშირელმა ოსტატმა გ. ვეფხვაძემ აიღო ვალდებულება შეაგროვოს 40 ტონა ლითონის ნარჩენი. საამქროს კოლექტივმა იკისრა წელს დაზოგოს 120 ტონა ლითონი.

ქარხნის სხვა საამქროთა კოლექტივებმაც ფართოდ გააჩაღეს სოციალისტური შეჯიბრება ლითონის ხარჯვის შემცირებისათვის. ბრიგადებმა და ცალკეულმა სტახანოველებმა ვალდებულება იკისრეს ეკონომიურად ხარჯონ ლითონი და რაციონალიზატორულ ღონისძიებათა განხორციელებით შეამცირონ მანქანათა კვანძებსა და დეტალებზე ნედლეულის ხარჯვის დაწესებული ნორმები.

ა. ბერუჩევი
სამსხმელო საამქროს პირველადი პარტიული ორგანიზაციის მდივანი



ამერიკავკასიის მეტალურგიული ქარხნის საამქროს მოწინავე მეფოლადე, ჩქაროსნული დნობის ინიციატორი **შალვა კუხალეიშვილი.**

ФОЛАДИС ЧКАРОСНУЛИ ДНОБИС МЕТОДИ

★

ШАЛВА КУХАЛЕЙШВИЛИ

★

ფოლადის ჩქაროსნული დნობის განხორციელების საქმეში როგორც რაოდენობის, ისე ხარისხის მხრივ ყველაზე უკეთეს წარმატებას ჩვენმა ბრიგადამ მიაღწია. შარშან ყველა დნობის მეოთხედზე მეტი ჩქაროსნული მეთოდით განხორციელდა. წელს ჩვენმა ბრიგადამ აქტიურად დაუჭირა მხარი ცნობილი მეფოლადის ს. იაკიმენკოს თაოსნობას და თითქმის ყოველდღიურად ჩქაროსნული მეთოდით ადნობს ფოლადს. ამასთან ერთად ღუმელების გამძლეობა აყვანილ იქნა 180 დნობამდე, ხოლო ღუმელის ქვედის ერთ კვადრატულ მეტრზე გათვალისწინებული 4,68 ტონის ნაცვლად ახლა ჩვენ 6,23 ტონა ფოლადს ვიღებთ. თვალსაჩინო წარმატებები მოვიპოვეთ აგრეთვე ლითონის, საწვავისა და დამხმარე მასალების ეკონომიის დარგში.

როგორ ვაღწევთ ამ წარმატებებს?

მუშაობის დაწყებამდე გულდასმით ვამოწმებთ ღუმელის თაღის, ქვედის, ფოლადის გამოსაშვები ხვრელისა და ღარის, ციცხვის, საწიდე ჭურჭლისა და სამსხმელო არხის ტექნიკურ მზადყოფნას. ამასთანავე მოვითხოვთ დროზე მოგვამარაგონ საჭირო რაოდენობის ჯართით, გასაწყობი მასალებითა და ხელსაწყოებით. რიტმიული, შეწყობილი მუშაობის უზრუნველსაყოფად წინასწარ ვეთათბირები ჯართის ეზოს ბრიგადირს, ჩამტვირთავ მემანქანეს, მეარხეებს და ვადგენთ შეთანხმებული მუშაობის გეგმას.

ბრიგადის თვითეულ წევრს ეძლევა დავალება და მიჩენილი აქვს თავისი ადგილი, სადაც იგი ყველაზე უკეთესად იმუშავებს. პირველ თანამშმწეს გრიგოლ სებისკვერაძეს ევალება თვალყური ადევნოს ფოლადის გამოსაშვებ ხვრელს, ინსტრუმენტების სწორად მომსახურებას, ანალიზისათვის მოამზადოს გამდნარი ფოლადი და წიდა. მეორე თანამშმწე ანდრია სებისკვერაძე ბრიგადას უმზადებს საჭირო გასაწყობ მასალებსა და ინსტრუმენტებს; მასვე დავალებული აქვს მონაწილეობა მიიღოს ღუმელის უკანა კედლისა და გვერდების გაწყობაში და მეფოლადის მითითებით შეასრულოს ყველა საჭირო საწარმოო ოპერაცია. მესამე თანამშმწეს მიხეილ ლომონოსოვს ლაბორატორიაში მიაქვს გამდნარი ლითონის სინჯი, მონაწილეობს გასაწყობი და დამატებითი მასალების მომზადებაში და წესრიგზე მოჰყავს სამუშაო მოედანი. ამასთანავე იგი ღუმელის ფოლადის გამოსაშვები ხვრელის დახურვისა და გაღების დროს ეხმარება პირველ თანამშმწეს. მუშაობის პროცესში ყურადღებას ვაქცევ იმას, რომ ბრიგადის თვითეულმა წევრმა დროზე და ზუსტად შეასრულოს მინდობილი საქმე.

ფოლადის დნობის ხანგრძლივობის შემცირებისათვის ბრძოლას ჩვენი ბრიგადა ღუმელის გაწყობასთან ერთად იწყებს. უწინარეს ყოვლისა გულდასმით ვაწარმოებთ უკანა კედლისა და გვერდების სათანადო მასალებით გაწყობას. ღუმელის დაცლის შემდეგ დაკვირვებით ვათვალიერებთ მის ქვედს. თუ ქვედზე შევნიშნეთ ღრმული ან სხვა სახის დეფექტი, მაშინვე ამოვაშრობთ ხოლმე ჰაერის წნევით და ვაკესებთ მაგნეზიტის ფხვნილით. გაწყობისას ღუმელში ვინარჩუნებთ მაქსიმალურ ტემპერატურას, რათა უზრუნველვყოთ ქვედზე გასაწყობი მასალების მიდუღება და შემჭიდროება. ღუმელის წინა კედლის გაწყობის შემდეგ გხურავთ ფოლადის გამოსაშვებ ხვრელს. ასეთი მუშაობის შედეგად ბრიგადა ღუმელის **გაწყობას** ნორმით გათვალისწინებულ 30 წუთის ნაცვლად 20 წუთში ასწრებს.

ჩქაროსნული დნობის განხორციელება ბევრად არის დამოკიდებული ღუმელში **ჯართის ჩატვირთვის** სისწრაფეზე. ამ მხრივ ჩვენ დიდ დახმარებას გვიწევს რომან ცაბუტაშვილის მიერ შემუშავებული ჯართის ჩქაროსნული ჩატვირთვის ნოვატორული მეთოდი, რითაც შესაძლო ხდება ღუმელში ჯართი ნორმით დადგენილი 3 საათის ნაცვლად 2 საათსა და 40 წუთში ჩავტვირთოთ.

შემდეგი საწარმოო პროცესი — ეს არის **კაზმის დნობა** ანუ ფოლადის ხარშვა. ამ შემთხვევაში დიდი მნიშვნელობა აქვს ღუმელში ტემპერატურის რეჟიმის ზუსტად დაცვას. დნობის დროს ღუმელის ტემპერატურას მაქსიმალურად ვზრდით, საწვავისა და ჰაერის მიწოდების სწორი რეგულირებით ვცდილობთ ღუმელს მივაწოდოთ მძლავრი და ნათელი ალი. როგორც კი კაზმი დნობას დაიწყებს, მის ზედაპირზე ჩნდება წიდის ფენა. თუ წიდა სქელია, მის მოსაცილებლად ღუმელს ვაწვდით ბოქსიტის მადანს. თხელ წიდას კი გასამაგრებლად ვურევთ კირს.

ნორმალური წიდის შექმნისთანავე გადავდივართ ფოლადის დნობის უკანასკნელ საწარმოო პროცესზე — **რაფინირებაზე.** თუ გამდნარ ფოლადს გააჩნია შესაბამისი რაოდენობის ნახშირბადი და ტემპერატურა, ღუმელში ვყრით რკინის მადანს, რითაც ვაჩქარებთ ნახშირბადის წვას. ყველა ამ საწარმოო პროცესების ჩქაროსნული მეთოდით განხორციელების გზით ფოლადის ხარშვას 3 საათისა და 30 წუთის ნაცვლად 2 საათსა და 50 წუთში ვამთავრებთ, რაფინირებას კი 2 საათსა და 55 წუთში, ნაცვლად 3 საათისა. ამრიგად, ჩვენი **ბრიგადის მიერ მიღწეული ფოლადის დნობის საშუალო ხანგრძლივობა 8 საათსა და 45 წუთს შეადგენს, ცალკეულ შემთხვევაში კი 7 საათსა და 30 წუთშიც ვადნობთ ფოლადს, ნაცვლად 12 საათისა.**

აღსანიშნავია, რომ ჩქაროსნული დნობით მიღებული ფოლადი საუკეთესო ხარისხისაა. მარტენის საამქროს მეფოლადეთა შორის ფართოდ ინერგება ჩვენი ბრიგადის მუშაობის გამოცდილება.

ბავშვთა სახვითი შემოქმედების საკავშირო გამოფენა

შვიდასზე მეტი მხატვრული ნამუშევარია წარმოდგენილი ბავშვთა სახვითი შემოქმედების საკავშირო გამოფენაზე, რომელიც 20 თებერვალს გაიხსნა მოსკოვში, საბჭოთა მხატვრების კავშირის საგამოფენო დარბაზში.

გამოფენა გახსნა საკავშირო ალაკ ცენტრალური კომიტეტის მდივანმა ამხ. ზ. ტ. ფედოროვამ.

მოკლე სიტყვები წარმოთქვეს სსრ კავშირის სამხატვრო აკადემიის პრეზიდენტმა ა. მ. გერასიმოვმა, რუსეთის სფსრ განათლების მინისტრის მოადგილემ ნ. ვ. ნენაევმა და მხატვარმა ქ. ფ. იუონმა. მათ აღნიშნეს, რომ სახვითი შემოქმედების გამოფენა ნათელ წარმოდგენას აძლევს საბჭოთა ბავშვების ნიჭზე, იმ უსაზღვრო შესაძლებლობაზე, რაც ბავშვებს ბოლშევიკური პარტიამ და საბჭოთა ხელისუფლებამ შეუქმნეს ნიჭის გამოვლინებისა და სრულყოფისათვის.

დედაქალაქის საზოგადოებრიობის ბევრმა წარმომადგენელმა, რომლებიც გამოფენის გახსნას დაესწრნენ, ინტერესით დათვალიერა ნორჩი მხატვრების შემოქმედება — ფერწერის, სკულპტურის ნაწარმოებნი, ნახატები, მხატვრული ნაქარგი, გრავიურა ლინოლეუმზე, ფერადი მინის მოზაიკა და სხვ.

ნორჩმა მხატვრებმა დიდი სიყვარულით ასახეს თავიანთ შემოქმედებაში დიდი ვლადიმერ ილიას-ძე ლენინის სახე, შექმნეს სურათები, რომლებზეც გამოსახულია საბჭოთა ბავშვების საუკეთესო მეგობარი და მასწავლებელი ამხანაგი ი. ბ. სტალინი. ბავშვთა ბევრი ნაწარმოება მოგვითხრობს სკოლის ცხოვრებას, პიონერთა ორგანიზაციის საქმიანობას. ნორჩ მხატვართა მთელ რიგ ნაწარმოებებში ნაჩვენებია მათი მამებისა და დედების შრომა, კომუნიზმის მშენებლობანი, მთელ მსოფლიოში მშვიდობისათვის ბრძოლა. ჩვენი ქვეყნის ცხოვრებაში არ მოიპოვება არც ერთი მნიშვნელოვანი მოვლენა, რომელსაც ცხოველი გამობაურება არ გამოეწვიოს ნორჩი მხატვრების შემოქმედებაში, რომელთა ასაკი ზოგჯერ შვიდ წელს ძალიან აღწევს.

ბავშვთა სახვითი შემოქმედების მეექვსე საკავშირო გამოფენა მოაწყეს საკავშირო ალაკ ცენტრალურმა კომიტეტმა, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებულმა ხელოვნების საქმეთა კომიტეტმა და რუსეთის სფსრ განათლების სამინისტრომ. (საკლესი).

სიახლენი კინოფოტოტექნიკაში

ჩვენი ქვეყნის კინომრეწველობა წარმატებით ეუფლება ფილმების წარმოებისა და დემონსტრაციისათვის ყოველი ახალი აპარატურის გამოშვებას.

ჩვენი ქვეყნის ყველა სასოფლო კინოთეატრი, რომელიც მწყობრში დგება მიმდინარე წელს, მიიღებს ვიწროფაფაიან ხმოვან კინოაპარატურას „უკრაინა“. მოძრავი კინო „უკრაინა“ დაკომპლექტებულია ყველაფრით, რაც კი საჭიროა ფილმების დემონსტრაციისათვის ყველე პირობებშიც. ეს საშუალებას მოგვცემს მოვემსახუროთ კოლმეურნეებს მინდერად სასოფლო-სამეურნეო სამუშაოთა პერიოდში. მოძრავი კინოებისათვის კონსტრუირებულია ორიგინალური მოძრავი ელექტროსადგური. მისი წონა 60 კილოგრამს უდრის.

დოკუმენტალური ფილმების სტუდიები იღებენ ახალ ვადასაღებ კინოაპარატებს „სამშობლოს“, აგრეთვე განათებისა და ხმისჩაწერის უახლეს აპარატურას.

სსრ კავშირის ხალხთა ენებზე ტიტრებიანი ფილმების დასამზადებლად კონსტრუირებულია მარქანა, რომელიც მნიშვნელოვნად აჩქარებს ფილმთა ასლების დამზადებას. (საკლესი).

პარტიული ცხოვრება

კომუნიზმის დიად მშენებლობათა დაკვეთების შესასრულებლად

საახელმწიფო დავალებას თბილისის დაზგათმშენებელი ქარხანა „დაზგა“ ყოველთვის გადაჭარბებით ასრულებდა. 1951 წლის პირველი კვარტალის მუშაობის შედეგად ეს საწარმო სსრ კავშირის დაზგათმშენებელ ქარხნებს შორის გაშლილ სოციალისტურ შეჯიბრებაში პირველ ადგილზე გამოვიდა.

7-8 თვის წინათ ქარხანამ პროდუქციის შეიცვალა. ნაცვლად ახალი პროდუქციის გამოშვებისა დაზგების რემონტზე გადავიდა. საჭირო გახდა მუშაობის ახლებურად გარდაქმნა, რაც ქარხნის ხელმძღვანელობამ დროზე ვერ განახორციელა. შეფერხდა გეგმის შესრულება. ეს გარემოება მით უფრო დამაფიქრებელი იყო, რომ ქარხნის კოლექტივს დაზგები კომუნიზმის დიადი მშენებლობებისთვის უნდა მიეწოდებინა.

გეგმის შეუსრულებლობის ძირითადი მიზეზი იყო მუშების არასაკმაო კვალიფიკაცია. აუცილებელი იყო მათი გადამზადება ახალი სპეციალობის მიხედვით. გარდა ამისა, საჭირო გახდა ქარხნის უზრუნველყოფა მძლავრი მექანიზმებით.

გეგმის შეუსრულებლობას სხვა მიზეზებთან ერთად იწვევდა საწარმოო ფართობის სიმცირე. ამიტომ იყო, რომ პარტიულმა ორგანიზაციამ (მდივანი პ. გუგუშვილი) დეკემბერში თავისი ღია კრების მსჯელობის საგნად სწორედ ეს საკითხი აირჩია. კრებაზე გამოსულმა კომუნისტებმა, მოწინავე მუშებმა დასახეს საწარმოო ფართობის გადიდების გზები და საშუალებები.

სარემონტო-ამწყობი საამქროს უფროსმა კომუნისტმა კ. ალანიამ დააყენა ქარხნის ტერიტორიიდან დამხმარე სათავსების სხვა ადგილზე გადატანის საკითხი, ამ წინადადების განხორციელება ქარხანას საშუალებას მისცემდა მნიშვნელოვნად გაეიდიდებინა საწარმოო ფართობი. კომუნისტებმა მოითხოვეს აგრეთვე სარემონტო საამქროს გაერთიანება, რომელიც სამ ნაწილად იყო გაყოფილი, ამით საამქრო მაქსიმალურად გამოიყენებდა ამწევ მექანიზმებს.

კრებამ მიიღო დადგენილება, რომელშიც გათვალისწინებული იყო ყველა ის ღონისძიება, რის განხორციელებაც ხელს შეუწყობდა საწარმოო გეგმების შესრულებას.

ქარხანაში გაჩაღდა მუშაობა მიღებული დადგენილების შესასრულებლად. მოეწყო ტექმინიმუმის წრეები, სადაც ამწყობმა ზეინკლებმა აიმაღლეს საწარმოო კვალიფიკაცია. შემოტანილ და განხორციელებულ იქნა მთელი რიგი რაციონალიზატორული წინადადებანი. ქარხნის ტექნიკური განყოფილების უფროსის გ. დათეშიძის წინადადების განხორციელებით შესაძლებელი გახდა დაზგების ცალკეული კვანძების ძების დამზადება და მათი დამზადებისათვის გამოწვეული ხარჯები. გარდა ამისა, კომუნისტი ოსტატის ტ. ფარაჯანოვის წინადადებით სარემონტო საამქროს მღებავებისათვის გაკეთდა გადასატანი კომპრესორი, რომელიც გამოყენებულია დაზგების შესაღებავად. ამ წინადადებით კომპრესორს აკეთებენ გამოუყენებელი რესურსებით, რაც ქარხანას 5.000-მდე მანეთის ეკონომიას აძლევს წელიწადში.

ქარხანაში ახალი ძალით გაჩაღდა მასობრივ-პოლიტიკური მუშაობა. ქარხნის სამ საამქროში საბაგიტაციო მუშაობისათვის გამოიყო ხუთი აგიტატორი. აგიტატორებად მუშაობენ ოსტატები, საამქროს უფროსები და სხვები. მათ ყოველდღიურად ეხმარება პარტბიურო. თვეში სამჯერ ეწყობა აგიტსემინარები. გარდა ამისა, ქარხნის პარტიული და სამეურნეო ხელმძღვანელები — ქარხნის დირექტორი ა. ბოკერია, მთავარი ინჟინერი ნ. კიზიკაძე, პარტბიუროს მდივანი პ. გუგუშვილი, საგეგმო განყოფილების გამგე ა. ქათამაძე და სხვები სისტემატურად გამოდიან ლექცია-მოხსენებებით ქარხნის კოლექტივის წინაშე.

ქარხნის პარტიული და სამეურნეო ხელმძღვანელობის მიერ განხორციელებულმა ღონისძიებებმა შესაფერისი ნაყოფი გამოიღო. ქარხანამ დაზგების რემონტის იანვრის გეგმა 104,5 პროცენტით შეასრულა, სასაქონლო პროდუქციის გამოშვების დავალება — 107,3 პროცენტით. გადაჭარბებით შესრულდა კომუნიზმის დიადი მშენებლობებისათვის დაზგების გაგზავნის გეგმაც. ამჟამად ქარხანა ორ დაზგას ამზადებს თურქმენეთის არხის მშენებლობაზე გასაგზავნად.

კომუნიზმის დიადი მშენებლობების დაკვეთების შესრულების საქმეში თავი გამოიჩინეს სარემონტო საამქროს ზეინკალმა კომუნისტმა ნ. კონეევმა, მექანიკური საამქროს ხარატმა კომუნისტმა ნ. ორლოვმა, კომკავშირელმა მუშებმა ბ. ბელთაძემ, ვ. ადუაშვილმა, მღებავებმა ი. მძინარაშვილმა, გ. პირანიშვილმა და სხვებმა.

პარტიული ორგანიზაცია კომუნიზმის დიად მშენებლობათა დაკვეთების დროულად და მაღალხარისხოვნად შესრულებისათვის მნიშვნელოვან ღონისძიებებს ახორციელებს, მაგრამ ზოგიერთი რამ მას მაინც უნდა ეუსაყვედუროთ. პარტბიურო სისტემატურად არ აწყობს ლექციებს როგორც კომუნიზმის დიადი მშენებლობების, ისე წარმოების ეკონომიკის საკითხებზე. გარდა ამისა, აქ პრაქტიკაში არ არის დანერგილი მოწინავე მუშების გამოცდილების ჩვენება. ამ ნაკლოვანებათა გამოსწორება პარტიულ ორგანიზაციას ადვილად შეუძლია.

მ. ვარდოსანიძე

მარქსიზმ-ლენინიზმის საღამოს უნივერსიტეტის კურსდამთავრებულთა გამოშვება

ბათუმი. (საკ. კორ.). მოეწყო საქართველოს კ. პ. (ბ) ბათუმის საქალაქო კომიტეტთან არსებული მარქსიზმ-ლენინიზმის საღამოს უნივერსიტეტის კურსდამთავრებულთა მეორე გამოშვება. საღამოს უნივერსიტეტი შეიქმნა 1949 წელს. მან დიდი პოპულარობა მოიპოვა ქალაქ ბათუმის კომუნისტებსა და უსპარტიო აქტივს შორის. მიმდინარე სასწავლო წელს უნივერსიტეტის მეორე კურსზე 87 კაცი სწავლობდა. აქედან 81 კაცმა წარმატებით დაამთავრეს უნივერსიტეტი.

მარქსიზმ-ლენინიზმის საღამოს უნივერსიტეტის მუშაობაში გასულ წელს იყო ნაკლოვანებებიც. მსმენელთა ნაწილი აცდენდა ლექციებსა და სემინარებს. პირველადი პარტიული ორგანიზაციების მდივნები სისტემად იყვნენ დაკავშირებულნი უნივერსიტეტთან.

ეს ნაკლოვანებანი შემდგომში თავიდან უნდა იქნას აცილებული.



განუწყვეტლივ მიმდინარეობს ლენინგრადის საფეიქრო საწარმოების აღჭურვა საბჭოთა კავშირში დამზადებული სრულყოფილი მოწყობილობით. ს. მ. კიროვის სახელობის ძაფსართავ კომბინატში დაიდგა ახალი კარდსაჩეჩი მანქანები, რომლებიც ბენვმატიკურად წმენდენ მექანიზმებს ბამბის მტვრისაგან, რაც ხელს უწყობს უფრო მაღალი ხარისხის პროდუქციის გამოშვებას და შრომის პირობების გაჯანსაღებას. სურათზე: საამქრო, სადაც დადგმულია ახალი კარდსაჩეჩი მანქანები.

ფოტო ვ. ფედოსეევისა (საკდესის ფოტოქრონიკა).

ახალი ავტომატური გამნასკველი მანქანა

მანქანათმშენებლობისა და ხელსაწყოთმშენებლობის სამინისტროს კოლომნის ქარხანამ დაიწყო მოძრავი გამნასკველი მანქანების გამოშვება შალის მრეწველობისათვის.

ახალი აგრეგატი ავტომატურად ასრულებს რთულ მუშაობას. იგი მოძრაობს საფეიქრო დაზგების გაყოლებით და მტკიცე ნასკვით აერთებს ძველი და ახალი ქსელის ძაფებს. ერთი ძაფიც რომ აკლდეს ან გაწყვეტილი იყოს, მექანიზმი მყისვე შეჩერდება.

გამნასკველი მანქანა დამონტაჟებულია პატარა ურიკაზე, მისი წარმადობაა 250 ნასკვი წუთში. ეს ექვსჯერ და უფრო მეტად ჩქარია ხელით შრომაზე.

კოლომნის ქარხანა ემზადება გამნასკველი მანქანების დასამზადებლად აბრეშუმისა და სელის მრეწველობისათვის. (საკდესი).

მანქანები და მექანიზმები საბჭოთა მეურნეობებისათვის

სსრ კავშირის საბჭოთა მეურნეობების სამინისტროს საბჭოთა მეურნეობები ახალ მანქანებსა და მექანიზმებს იღებენ.

იალალებზე წყალმომარაგების მოსაწყობად პენზისა და ორეხოვოს ქარხნებმა დაიწყეს გადასატანი სპირალურ-ჯაჭვური წყალსაწევების გამოშვება. ისინი მუშაობენ ცხენის ამძრავით და წყალი ამოაქვთ 20 მეტრი სიღრმიდან. ახალი მექანიზმი საათში 3,5 კუბურ მეტრ წყალს იღებს. წლის დამლევამდე დამზადდება რამდენიმე ასეული ახალი მექანიზმი.

ღორის ავტოსარწყულებელთა პირველი პარტია დაამზადა ჩერეპანოვოს ქარხანამ (ნოვოსიბირსკის ოლქი). წელს გათვალისწინებულია გამოშვებულ იქნას რვა ათასი ავტოსარწყულებელი.

ჩვენი ქვეყნის სამხრეთი რაიონების საბჭოთა მეურნეობებში სამინისტროს ქარხნებმა ბევრი მოძრავი ელექტროსადგური გაგზავნეს. მათი საშუალებით შეიძლება სათესლე მარცვლის მექანიზებული გაწმენდა და სხვა სამუშაოთა შესრულება. (საკდესი).

კუიბიშევის ჰიდროელექტროსადგურის ტურბინის მუშა ბორბლის მოდელი

ჰიდრომანქანათმშენებლობის საკავშირო სამეცნიერო-საკვლევ ინსტიტუტში დააპროექტეს და ააგეს კუიბიშევის ჰიდროელექტროსადგურის ტურბინის მუშა ბორბლის დიდი მოდელი. ინსტიტუტის მეცნიერთა ჯგუფი, რომელიც ამ მოდელს სცდის, მნიშვნელოვან გამოკვლევას ეწევა. კუიბიშევის ჰიდროელექტროსადგურის ტურბინის მუშა ბორბალი თითქმის სამსართულიანი სახლის სიმაღლე იქნება. მისი წონა ფრთებიანად 400 ტონას მიაღწევს. ინსტიტუტის თანამშრომლები სტალინური პრემიის ლაურეატის პროფესორ ვ. ს. კვიატკოვსკის ხელმძღვანელობით ამუშავებენ ტურბინის ბორბლის მრავალტონიანი ფრთების ფორმებს. ფრთებმა უნდა გაუძლონ წყლის კოლოსალურ წნევას.

ინსტიტუტის მუშაკები ეწევიან აგრეთვე კუიბიშევის ჰიდროელექტროსადგურის ტურბინის ერთ-ერთი პასუხსაგები კვანძის — ეგრეთწოდებული შემწოვი მილების გამოკვლევას. მათი ოდენობა განსაზღვრავს სადგურის შენობის საფუძვლის ჩაყრის სიღრმეს და უზრუნველყოფს წყლის რესურსების გამოყენების ეფექტიანობას. ინსტიტუტი ტექნიკურ დახმარებას გაუწევს სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის მოწყობაში ჰიდროპროექტის სხოდნის ჰიდრავლიკურ საცდელ სადგურს, რომელიც ახლა შენდება მოსკოვის ახლოს. ამ სადგურში ამონტაჟებენ კუიბიშევის ჰიდროტურბინის მოდელს, რომელსაც ნატურალური სიდიდის 1/10 ოდენობა აქვს. იგი 2.500 კილოვატ სიმძლავრეს განავითარებს.

ინსტიტუტის თანამშრომლები დახმარებას გაუწევენ ამ უნიკალური მოდელის ამუშავებას და ჰიდრავლიკური კვლევის მოწყობას. (საკდესი).

საბჭოთა მთავრობის პასუხი გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის მიმართვაზე სსრ კავშირის, ამერიკის შეერთებული შტატების, დიდი ბრიტანეთისა და საფრანგეთის მთავრობებისადმი

13 თებერვალს გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობამ სსრ კავშირის, ამერიკის შეერთებული შტატების, დიდი ბრიტანეთისა და საფრანგეთის მთავრობებს გაუგზავნა მიმართვა — დაჩქარდეს გერმანიასთან საზავო ხელშეკრულების დადება. მიმართვაში აღნიშნული იყო, რომ, თუმცა ჰიტლერული გერმანიის კაპიტულაციის შემდეგ თითქმის შვიდი წელი გავიდა, გერმანია ჯერ კიდევ მოკლებულია საზავო ხელშეკრულებას და გერმანელ ხალხს არა აქვს შესაძლებლობა აშენოს თავისი ერთიანი, დამოუკიდებელი, მშვიდობისმოყვარე და დემოკრატიული სახელმწიფო.

გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობამ იმედი გამოთქვა, რომ ოთხი სახელმწიფოს მთავრობები ყურადღებით მოეკიდებიან თხოვნას გერმანიასთან საზავო ხელშეკრულების დადების დაჩქარების შესახებ და ხელს შეუწყობენ მას.

საბჭოთა მთავრობის დავალებით 20 თებერვალს სსრ კავშირის დიპლომატიური მისიის მეთაურმა ბერლინში გ. მ. პუშკინმა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრს ოტო გროტეოლს გადასცა სსრ კავშირის მთავრობის შემდეგი პასუხი აღნიშნულ მიმართვაზე:

„საბჭოთა მთავრობა ადასტურებს, რომ მიიღო გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის მიერ საბჭოთა კავშირის, ამერიკის შეერთებული შტატების, დიდი ბრიტანეთისა და საფრანგეთის მთავრობებისათვის გაგზავნილი მიმართვა გერმანიასთან საზავო ხელშეკრულების დადების დაჩქარების საკითხზე.

საბჭოთა მთავრობა იზიარებს გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის პოზიციას, რომელიც ჩამოყალიბებულია მის მიმართვაში, აგრეთვე სრულიად არანორმალურად მიაჩნია ისეთი მდგომარეობა, რომ ომის დამთავრების დროიდან თითქმის შვიდი წლის შემდეგ გერმანიას ჯერ კიდევ არა აქვს საზავო ხელშეკრულება და გერმანიის სახელმწიფო კვლავ დანაწილებულია. სსრ კავშირის მთავრობას საჭიროდ მიაჩნია დაუყოვნებლივ დაიდოს გერმანიასთან საზავო ხელშეკრულება პოტსდამის დადგენილებათა შესაბამისად და გერმანიის მონაწილეობით, ამასთან დარწმუნებულია, რომ ეს შეესაბამება ევროპის ყველა მშვიდობისმოყვარე ხალხის ინტერესებს.

მიაჩნია რა, რომ გერმანიასთან საზავო ხელშეკრულების დადებას უდიდესი მნიშვნელობა აქვს ევროპაში მშვიდობის განმტკიცებისათვის, საბჭოთა მთავრობა თავის მხრივ ყოველივე შესაძლებელს გააკეთებს, რათა დაჩქაროს გერმანიასთან საზავო ხელშეკრულების დადება და გერმანიის სახელმწიფოს ერთიანობის აღდგენა.

საბჭოთა მთავრობა მოელის, რომ სათანადო ნაბიჯებს გადადგამენ აგრეთვე სხვა სახელმწიფოები, რომლებიც გერმანიაში ახორციელებენ კონტროლის ფუნქციებს“.

გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის 1951 წლის სახალხო-სამეურნეო გეგმის შესრულება

ბერლინი, 21 თებერვალი. (საკდესი). ადნ-ის სააგენტომ გამოაქვეყნა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ინფორმაციის უწყების ცნობა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს სხდომის შესახებ, რომელზეც მოსმენილ იქნა პრემიერ-მინისტრის მოადგილისა და სახელმწიფო საგეგმო კომისიის თავმჯდომარის ჰენრიხ რაუს საანგარიშო მოხსენება 1951 წლის სახალხო-სამეურნეო გეგმის შესრულების შედეგებზე, აგრეთვე სახელმწიფო საგეგმო კომისიის ცნობა 1951 წლის სახალხო-სამეურნეო გეგმის შესრულების შედეგებზე.

1951 წლის—ხუთწლედის პირველი წლის სახალხო-სამეურნეო გეგმის მთლიანად და დაჯარბებით შესრულებამ, ნათქვამია ამ ცნობაში, ეკონომიურად და პოლიტიკურად განამტკიცა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა ეროვნული ერთიანობისათვის გერმანელი ხალხის ბრძოლის გადამწყვეტ ფაზაში.

1951 წლის საერთო პროდუქციის გამოშვების წლიური გეგმა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მთელმა მრეწველობამ შეასრულა 105,2 პროცენტით და პროდუქციის გამოშვება 1950 წელთან შედარებით გადიდდა 21,9 პროცენტით, ხოლო 1936 წლის დონე გადამეტებული 36 პროცენტით.

საერთო პროდუქციის გამოშვების წლიური გეგმის შესრულება მრეწველობის სახალხო სექტორში წინა წლის დონესთან შედარებით შეადგენს 124,4 პროცენტს. გასულ წელს მნიშვნელოვნად გაიზარდა წარმოება სამრეწველო კოოპერაციულ საწარმოებში. მრეწველობის კერძო სექტორში საერთო პროდუქციის გამოშვების გეგმა წინა წელთან შედარებით შესრულებულია 112,4 პროცენტით.

გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მშრომელებმა ახალ წარმატებებს მიაღწიეს სოფლის მეურნეობის დარგშიც.

ცნობაში აღნიშნულია, რომ 1951 წელს გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში მიღებულ იქნა მარცვლეული კულტურების განსაკუთრებით კარგი მოსავალი და ზეთოვანი კულტურებისა და ძირხვენების ნორმალური მოსავალი.

მუშათა და მოსამსახურეთა რიცხვი გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მთელ სახალხო მეურნეობაში 1950 წელთან შედარებით მნიშვნელოვნად გადიდდა, ეს განსაკუთრებით ითქმის მრეწველობის სახალხო სექტორსა და სახელმწიფო გაჩრობაზე.

1951 წელს გრძელდებოდა მუშათა ხელფასის ზრდა სახალხო სექტორის მრეწველობაში.

გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის საგარეო ვაჭრობის ბრუნვა (გერმანიის შინაგაჭრობის გამოკლებით) 1950 წელთან შედარებით გადიდდა 60 პროცენტით. განსაკუთრებით გაიზარდა ქვანახშირის, რკინის მადნის, ბამბის, ტყავის, ბეწვეულის, ცხიმისა და სხვ. შემოზიდვა. გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ექსპორტში დიდ როლს ასრულებდა მანქანათმშენებლობის, ელექტროტექნიკის, ზუსტი მექანიკის, ოპტიკისა და ქიმიური მრეწველობის პროდუქცია.

სსრ კავშირის, სახალხო დემოკრატიის ქვეყნებისა და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის წილი გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის საგარეო ვაჭრობაში 1950 წელთან შედარებით გაიზარდა და შეადგინა 79 პროცენტს.

1951 წელს გაუქმდა ფქვილის, პურის, მთელ რიგ საკონდიტრო ნაწარმის, მანუფაქტურისა და ბამბეული ქსოვილების საბარათო სისტემა.

1951 წელს დიდად განვითარდა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის კულტურული ცხოვრება. გადიდდა სასწავლებლების, საბავშვო ბაღების რიცხვი, გაფართოდა საავადმყოფოებისა და დასასვენებელი სახლების ქსელი. დიდი ყურადღება ექცეოდა სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის გაფართოებას. ახალი წარმატებებია მიღწეული ომით დაზარალებული დიდი ქალაქებისა და კულტურის ძეგლების აღდგენის საქმეში.

ხალხთა ბრძოლა კოლონიური ჩაგვრის წინააღმდეგ

კოლონიების ხალხთა ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობას არასოდეს არ ჰქონია ისეთი გაქანება, როგორიც ჩვენს დროს. თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის საბრძოლველად ირაზმება კოლონიებისა და დამოკიდებული ქვეყნების ასეულ მილიონობით ადამიანი. ამ ქვეყნების ხალხები სულ უფრო გაბედულად გამოდიან იმპერიალისტური ჩაგვრის წინააღმდეგ, მშვიდობისათვის, იმის უფლებისათვის, რომ თვითონ განაგებდნენ თავიანთ ეროვნულ სიმდიდრეს, თავიანთ ბედს.

მეორე მსოფლიო ომში ფაშისტური გერმანიისა და იმპერიალისტური იაპონიის განადგურებამ, რაც საბჭოთა კავშირის გადამწყვეტი როლის მეოხებით განხორციელდა, გამოიწვია იმპერიალიზმის ბანაკის დასუსტება, კაპიტალისტური სისტემის კრიზისის შემდგომი გაღრმავება და კოლონიებსა და დამოკიდებულ ქვეყნებში ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ზრდა. ამერიკის იმპერიალიზმის გომინდანელ ლაქიებზე დიდი ჩინელი ხალხის გამარჯვება ახალი უძლიერესი ლახვარი იყო მსოფლიო იმპერიალიზმის მთელი სისტემისათვის. მან ხელი შეუწყო ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლის შემდგომ განვითარებას.

ამერიკელ-ინგლისელი იმპერიალისტები ყველა საშუალებას მიმართავენ, რათა შეინარჩუნონ ბატონობა კოლონიებსა და დამოკიდებულ ქვეყნებში. ამზადებენ რა მსოფლიო ბატონობის მოპოვების გიჟურ გეგმებს, ომის იმპერიალისტი გამჩაღებლები ცდილობენ დილიანობის კატასტროფულ გადიდებას. ამერიკის კოლონია სამოაში 1947 წლიდან 1949 წლამდე შობადობა ერთისამად შემცირდა, ხოლო ერთი წლის ასაკის ბავშვთა სიკვდილიანობა ერთისამად გადიდდა. ანალოგიური პროცესი ხდება ამერიკის მეორე კოლონიაში — პუერტო-რიკოში. ბავშვთა სიკვდილიანობა განსაკუთრებით დიდია ინგლისის კოლონიებშიც. მაგალითად, 1950 წელს სიერა-ლეონეში ბავშვთა სიკვდილიანობა შეადგენდა 18 პროცენტს, ოქროს სანაპიროზე — 12 პროცენტს, ადენში — 14 პროცენტს, გამბიაში — 12 პროცენტს. კოლონიების მოსახლეობის დიდი უმრავლესობა აბსოლუტურად წერა-კითხვის უცოდინარია.

იმპერიალისტური ჩაგვრა იწვევს ხალხთა მასების მზარდ წინააღმდეგობას. კოლონიების ხალხები აძლიერებენ ბრძოლას იმპერიალისტ მჩაგვრელთა წინააღმდეგ, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის. ამ ბრძოლაში მათ ლაფრთოვანებს წარმატებანი სოციალიზმისა და დემოკრატიის ძლიერი ბანაკისა, რომელსაც სათავეში უდგას დიდი საბჭოთა კავშირი. კორეელი ხალხის გმირული ბრძოლა ამერიკელ დამპყრობთა წინააღმდეგ მილიონობით ადამიანს განუმტკიცებს რწმენას, რომ მათი სამართლიანი საქმე — თავისუფლებისა და ეროვნული დამოუკიდებლობის საქმე გაიმარჯვებს.

დამოუკიდებლობისა და ეროვნული განთავისუფლებისათვის მებრძოლთა პირველ რიგებშია მუშათა კლასი, რომელიც წინ მიუძღვის გლეხობას და მოსახლეობის სხვა ფენებს. მუშათა კლასისა და მისი ავანგარდის — კომუნისტური პარტიების სახით კოლონიების ხალხები ხედავენ თავიანთი ქვეყნების თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის ყველაზე თანმიმდევარ და მამაც მებრძოლებს, რომლებსაც უნარი შესწევთ დარაზმონ ხალხთა მასები და წინ გაუძღვნენ მათ იმპერიალისტ მჩაგვრელთა წინააღმდეგ საბრძოლველად. მშვიდობისათვის, თავისუფლებისა და ეროვნული დამოუკიდებლობისათვის ძოძრაობაში ებმებიან მოსახლეობის სულ ახალი ფენები. ამ უკანასკნელ წლებში მნიშვნელოვნად გაიზარდნენ და მუშაობა გააძლიერეს ქალთა, ახალგაზრდობის მასობრივმა დემოკრატიულმა ორგანიზაციებმა.

ეროვნულ-განმათავისუფლებელ, ანტიიმპერიალისტურ ბრძოლაში მონაწილეობენ აზიის, აფრიკისა და დედამიწის სხვა ნაწილების ჩაგრულ ხალხთა მრავალმილიონიანი მასები.

აზიაში უკანასკნელი უდიდესი დამოკიდებული ნახევრადკოლონიური ქვეყნის — ინდოეთის ხალხები იბრძვიან თავიანთი სამშობლოს სრული დამოუკიდებლობისათვის, ინდოეთის ეკონომიკაში ინგლისის კაპიტალის ბატონობის ლიკვიდაციისათვის, ინგლისელი მრჩევლებისაგან განთავისუფლებისათვის. ინდოეთის კომუნისტური პარტია თავისი პროგრამის პროექტში ინდოეთის მშრომელებს, მუშათა კლასს, გლეხობას, მშრომელ ინტელიგენციას, საშუალო კლასებს, ისევე როგორც ეროვნულ ბურჟუაზიას, რომელიც დაინტერესებულია თავისი ქვეყნის თავისუფლებით, მოუწოდებს დაირაზმონ ერთიან დემოკრატიულ ფრონტად, რათა მიაღწიონ ინდოეთის სრულ დამოუკიდებლობას, ფეოდალების უღლისაგან გლეხთა განთავისუფლებასა და ყველა მშრომელთა ცხოვრების გაუმჯობესებას.

მთელ რიგ კოლონიურ და დამოკიდებულ ქვეყნებში ეროვნულ-განმათავისუფლებელმა მოძრაობამ მიიღო მწვავე შეიარაღებული ბრძოლის სახე და ამ ბრძოლაში მონაწილეობენ სახალხო-განმათავისუფლებელი არმიები.

იმპერიალისტ მჩაგვრელთა წინააღმდეგ, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის იარაღით იბრძვიან ვიეტნამის, ბირმისა და მალაიის ხალხები. ეროვნულ-განმათავისუფლებელ ბრძოლაში სულ უფრო ფართო მასები ებმებიან ინდონეზიაში და ფილიპინებზე. ხალხებს არა, სურთ შეურიგდნენ უცხოელთა კაბალას, იმპერიალისტთა კოლონიურ ბატონობას.

ჩაღდება ახლო და შუა აღმოსავლეთის და აფრიკის ჩაგრულ ხალხთა ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა. ინგლისელი, ფრანგი და ამერიკელი იმპერიალისტების წინააღმდეგ ეგვიპტის, ტუნისის, მაროკოს და აფრიკის სხვა კოლონიური და დამოკიდებული ქვეყნების ხალხთა ბრძოლა ცხადყოფს, რომ ეროვნული დამოუკიდებლობისათვის კოლონიების ხალხთა ბრძოლა განუყრელად არის დაკავშირებული მშვიდობისათვის ბრძოლასთან, ახალი ომის გაჩაღების ინგლისურ-ამერიკული გეგმების წინააღმდეგ ბრძოლასთან.

კოლონიების ხალხთა ბრძოლას თანაუგრძნობს და მორალურად მხარს უჭერს პროგრესული კაცობრიობა, რადგან ეს ბრძოლა მშვიდობისათვის საერთო ბრძოლის ნაწილია. ეროვნული დამოუკიდებლობისათვის კოლონიების ხალხთა მოძრაობა განუყოფელია მშვიდობისათვის, ომის გამჩაღებელთა აგრესიული გეგმების წინააღმდეგ ბრძოლისაგან.

კოლონიების ხალხები სულ უფრო მტკიცედ მოქმედებენ იმის წინააღმდეგ, რომ მათი ქვეყნები შეიყვანონ აგრესიულ პაქტებში, რომ იმპერიალისტმა დამპყრობლებმა მათი ტერიტორიები და მოსახლეობა გამოიყენონ აგრესიული მიზნებისათვის. სირიის მუშათა კონგრესმა, რომელიც იანვრის დამლევს გაიმართა, თავის გადაწყვეტილებაში განაცხადა: „სირიის მუშათა კლასი არ დაუშვებს, რომ უცხოელებმა კვლავ მოახდინონ სირიის ოკუპაცია. სირიის მუშათა კლასი მზად არის სისხლი დაღვაროს, რათა ხელი შეუშალოს ამ ოკუპაციას. სირიის მუშათა კლასი უარყოფს ყველა გეგმას, რაც კი მიზნად ისახავს სირიის გადაქცევას აგრესიის პლაცდარმად საბჭოთა კავშირის მუშების წინააღმდეგ, რომლებმაც განთავისუფლება მოიპოვეს“.

კოლონიური და დამოკიდებული ქვეყნების ხალხთა მასების მზარდი პოლიტიკური აქტივობა გამოხატულებას პოულობს მშვიდობისათვის, უკეთესი მომავლისათვის ბრძოლით, ვერავითარი ძალა ვერ შეაჩერებს კოლონიების ხალხთა წინსვლას თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის გზაზე.

კოლონიურ და დამოკიდებულ ქვეყნებში, ისევე როგორც მთელ მსოფლიოში, სულ უფრო მძლავრად გაისმის ხმა მშვიდობის დასაცავად, სულ უფრო ფართოდ ჩაღდება ხალხთა მასების მძლავრი მოძრაობა ომის იმპერიალისტ გამჩაღებელთა წინააღმდეგ, კოლონიური რეჟიმის წინააღმდეგ, თავისუფლებისა და ეროვნული დამოუკიდებლობისათვის.

მთელ მსოფლიოში მშვიდობისათვის მებრძოლებს აღაფრთოვანებს ამხანაგ სტალინის ბრძნული სიტყვები: **„მშვიდობა შენარჩუნებულ და განმტკიცებულ იქნება, თუ ხალხები მშვიდობის შენარჩუნების საქმეს თავიანთ ხელში აიღებენ და ბოლომდე დაიცავენ მას“.**

„პრავდის“ 21-II მოწინავე

ფართოდ გავავრცელოთ ნოვატორი ფეიქრების თაოსნობა

(თათბირი საქართველოს სსრ მსუბუქი მრეწველობის სამინისტროში)

მკითხველებმა უკვე იციან, რომ თბილისის მაუდ-კამოვლის ფაბრიკის ნოვატორები — მრთველთა ბრიგადირი ა. ანდღულაძე, მქსოველთა ბრიგადირი ნ. ხარიტონაშვილი, მევატერე ვ. ჯოხაძე და მქსოველი მ. კოლოდა არსებული საწარმოო რეზერვების გათვალისწინებით იმ დასკვნამდე მივიდნენ, რომ შეიძლება მხოლოდ პირველხარისხოვანი პროდუქციის გამოშვება. ამისათვის საჭიროა თვითეული მუშა საუკეთესოდ დაეუფლოს არა მარტო თავის, არამედ აგრეთვე მეზობელი მუშის პროფესიას, სანამუშოდ მოაწყოს სამუშაო ადგილი, სისტემატური მეთვალყურეობა გაუწიოს საწარმოო პროცესს და არ დაუშვას ტექნოლოგიური რეჟიმის სულ მცირე დარღვევა, გაუფრთხილდეს და კარგად მოუაროს საწარმოო მოწყობილობას. ეს მეთოდი გულისხმობს აგრეთვე ურთიერთ კონტროლის დაწესებას საწარმოო ოპერაციათა საუკეთესოდ შესრულებაზე და ყველა იმ მუშის წარჩინებულ მუშაობას, რომლებიც დაკავშირებული არიან მოცემული პროდუქციის დამზადებასთან.

გამოდიოდნენ რა ამ მოსაზრებიდან, წარმოების **ნოვატორებმა წინადადება წამოაყენეს გაიშალოს სოციალისტური შეჯიბრება მხოლოდ პირველხარისხოვანი პროდუქციის გამოშვებისათვის.** ფაბრიკის კოლექტივმა ერთსულოვნად დაუჭირა მხარი ამ ახალ თაოსნობას და ახლებურად შეუდგა მუშაობას. ამან საუკეთესო ნაყოფი გამოიღო: იანვარში ფაბრიკამ 92,5 პროცენტი პირველი ხარისხის ქსოვილი გამოუშვა, ნაცვლად გეგმით დაწესებული 89,4 პროცენტისა, ხოლო თებერვლის 18 დღეში პირველი ხარისხის პროდუქციის გამოშვებამ 95,5 პროცენტს მიაღწია. ამჟამად ფაბრიკის 36 მოწინავე მქსოველი მხოლოდ პირველხარისხოვან ქსოვილს უშვებს.

მოწინავე მემაუდეთა თაოსნობას მხარვალედ გამოეხმაურნენ თბილისის აბრეშუმის საქსოვი ფაბრიკისა და მსუბუქი მრეწველობის სხვა საწარმოთა კოლექტივები, რომლებმაც გააჩაღეს ბრძოლა პროდუქციის ხარისხის შემდგომი გაუმჯობესებისათვის.

19 თებერვალს მსუბუქი მრეწველობის სამინისტროში გაიმართა თათბირი, რომელიც მიეძღვნა თბილისის მაუდის ფაბრიკის მოწინავე ადამიანების ახალი პატრიოტული თაოსნობის განხილვას. თათბირს დაესწრნენ დედაქალაქის მსუბუქი მრეწველობის ცნობილი სტახანოველები, ოსტატის თანაშემწეები, ბრიგადირები და საამქროს უფროსები, აგრეთვე საწარმოთა ხელმძღვანელები.

თბილისელ მემაუდეთა თაოსნობის მნიშვნელობაზე და რესპუბლიკის მსუბუქი მრეწველობის საწარმოებში მისი ფართოდ გავრცელების ღონისძიებებზე მოხსენება გააკეთა სამინისტროს შრომისა და ხელფასის სამმართველოს უფროსმა გ. ხევსურიანმა.

მოხსენების გამო გამართულ კამათში მონაწილეობა მიიღეს მაუდ-კამოვლის ფაბრიკის საქსოვი საამქროს უფროსმა ს. ამაშუკელმა, ოსტატის თანაშემწემ — პირველხარისხოვანი პროდუქციის გამოშვებისათვის სოციალისტური შეჯიბრების ინიციატორმა ნ. ხარიტონაშვილმა, აბრეშუმის საქსოვი ფაბრიკის ოსტატის თანაშემწემ ა. კახიანმა, ფეხსაცმლის მეორე ფაბრიკის სამამქროს უფროსმა გ. ბერიანიძემ, მაქო-კოჭების ქარხნის მთავარმა ინჟინერმა ა. მიზანდარმა, მაუდ-კამოვლის ფაბრიკის მთავარმა ინჟინერმა ს. იაკობაშვილმა, აბრეშუმის საქსოვი ფაბრიკის სტახანოველმა მქსოველმა თ. კოპალეიშვილმა, სამინისტროს საკერვალო სამმართველოს უფროსმა მ. სალნიკერმა და ტყავფეხსაცმლის სამმართველოს უფროსმა ინჟინერმა ნ. კლიჯიანმა, რომლებმაც მოიწონეს და ერთსულოვნად დაუჭირეს მხარი მემაუდეთა შესანიშნავ თაოსნობას.

სტახანოველმა მუშებმა თათბირის მონაწილეთ გააცნეს მუშაობის თავიანთი მოწინავე მეთოდები, ამასთან, გააკრიტიკეს მაქო-კოჭების ქარხანა, რომელიც ფეიქრებს ცუდი ხარისხის მაქოებს აწვდის, და ამ ქარხნის მუშებს მოუწოდეს, მათაც გააჩაღონ შეჯიბრება პროდუქციის ხარისხის გასაუმჯობესებლად.

თათბირის მუშაობა შეაჯამა საქართველოს სსრ მსუბუქი მრეწველობის მინისტრმა ამხ. გ. რობაქიძემ.

თათბირმა მოიწონა ნოვატორთა ინიციატივა და საწარმოთა ხელმძღვანელებს მოთხოვა ფართოდ გავრცელონ თბილისელ მემაუდეთა თაოსნობა მსუბუქი მრეწველობის ყველა დარგში.

გოგოლის ძეგლი თბილისში

დიდი რუსი მწერლები ა. ს. პუშკინი და ნ. ვ. გოგოლი გაცხოველებული ინტერესით და სიყვარულით ეკიდებოდნენ საქართველოს, მის თავისუფლებისმოყვარე ხალხს. ორივენი მხურვალედ უყვარდა ქართველ ხალხსაც. ამ სიყვარულის ერთ-ერთი გამოხატულებაა მათი ძეგლების დადგმა საქართველოს დედაქალაქში.

თბილისში პირველად ა. პუშკინის ძეგლი დაიდგა, ხოლო შემდეგ—ნ. გოგოლისა. ამ ძეგლის დადგმის ისტორია ასეთია:

გოგოლის ნიჭისა და უკვდავი ქმნილებების მნიშვნელობას მოწინავე ქართველი ადამიანები მწერლის სიცოცხლეშივე გრძნობდნენ. მაგრამ გოგოლის თხზულებათა გავრცელება ჩვენში მხოლოდ გასული საუკუნის სამოცანი წლებიდან დაიწყო.

ამის შემდეგ ქართული პრესა განსაკუთრებული ყურადღებით ეპყრობა გოგოლს. 1886 წელს ფურნალი „თეატრი" (№ 29) ქართველ ხალხს აუწყებდა: „რუსულ ნაწარმოებთა მოყვარე საზოგადოება" შესდგომია გოგოლის ძეგლის ასაგები თანხის შეგროვებას და დღემდე 13.700 მან. და 19 კაპ. აქვს ფონდში". ასეთი ცნობები ლიტერატურული სტატიები გოგოლის შესახებ ქართულ პერიოდულ პრესაში ხშირად იბეჭდებოდა.

1902 წლის თებერვალში, ნ. ვ. გოგოლის გარდაცვალების 50 წლისთავის მოახლოებასთან დაკავშირებით, დაიწყო მზადება ამ დღის აღსანიშნავად. გადაწყდა ქალაქის თვალსაჩინო ადგილს გოგოლისათვის ძეგლის დადგმა.

ნ. გოგოლის ძეგლის პროექტი შეადგინა ფელიქს ხოდოროვიჩმა, რომელსაც ეკუთვნოდა პუშკინის ძეგლის პროექტიც. მოქანდაკემ ზედმიწევნით კარგად და ფაქიზად გამოძერწილი ბიუსტი პეტერბურგში ბრინჯაოსაგან ჩამოასხმევინა და თბილისში ჩამოგზავნა. ბიუსტის დასადგმელად აქ უკვე გამზადებული იყო კვარცხლბეკი ალექსანდრეს ბაღში, ძველ ყაბახთან.

1903 წლის 18 მარტს გაზეთი „იბერია" მკითხველებს აუწყებდა: „ხვალ, 19 მარტს, ალექსანდრეს ბაღში აკურთხებენ რუსი მწერლის ნ. ვ. გოგოლის ძეგლს". ამასვე იუწყებოდნენ „კვალი" (№ 13) და სხვა გაზეთებიც.

20 მარტს გაზეთ „იბერია" ასე აღწერდა ნ. გოგოლის ძეგლის დადგმის ამბავს: „ალექსანდრეს ბაღი მორთული იყო ყვავილებით. მთელ ქალაქსაც ამ დღეს სადღესასწაულო ელფერი ედო. ამ დღეს დანიშნული იყო დიდებული მწერლის ნ. ვ. გოგოლის ძეგლის კურთხევა". შემდეგ გაზეთი აღწერდა ძეგლის გახსნის ცერემონიალს, საზეიმო მიტინგს, რომელსაც მრავალი ქართველი და რუსი მწერალი დაესწრებოდა. თბილისის ყველა სასწავლებლის მოსწავლეებმა, — წერდა გაზეთი, — გაიარეს ძეგლის წინ და გვირგვინები დაუწყეს დიდებული მწერლის ძეგლს გარშემო.

სურათზე: ნ. ვ. გოგოლის ძეგლი თბილისის კომუნარების ბაღში.

რევიზორი ჭურღულია და ძმანი მისნი...

საქართველოს ტექნიკური კულტურების სამინისტროს თელავის მევენახეობის ერთწლიან სასოფლო-სამეურნეო სკოლაში წლების მანძილზე ხდება უმსგავსობა და დარღვევები. ვერ ვიტყვით, რომ ამ სკოლას ყურადღებას არ აქცევდეს სამინისტრო, მაგრამ ხშირად ეს ყურადღება ფორმალურ ხასიათს ატარებს. მხოლოდ ერთი მაგალითი. გასული წლის იანვარში ამ სკოლას ეწვია ტექნიკური კულტურების სამინისტროს რევიზორი კ. ჭურღულია. მოსალოდნელი იყო, რომ რევიზორი გამოავლენდა იმ სერიოზულ დანაშაულობებს, რომლებსაც სკოლის დირექტორი მ. მჭედლიშვილი სჩადიოდა. მოლოდინი არ გამართლდა. რევიზიის აქტში ჭურღულიამ მხოლოდ 422 ლიტრი ღვინის დანაკლისი ჩაწერა და დაკმაყოფილდა იმით, რომ მისი საბალანსო ღირებულების გადახდა მატერიალურად პასუხისმგებელ პირს ვ. შავლაყაძეს დააკისრა. გულმოდგინე რევიზორს არც სხვა დარღვევისა თუ გაფლანგვა-განიავებისათვის მიუქცევია ყურადღება.

„კომუნისტის" რედაქციაში შემოსული ხიგნალის შედეგად სასოფლო-სამეურნეო სკოლის მუშაობის შემოწმება დაიწყო, მჭედლიშვილმა დახმარებისათვის კვლავ ჭურღულიას მიმართა — „ძმა ძმისთვისაო, შავ დღისთვისაო". ჭურღულიამაც არ დააყოვნა. სასწრაფოდ ჩამოვიდა თელავში „შავ დღეში" ჩავარდნილი „ძმების" მისაშველებლად. ერთი წლის წინათ „სესხად" წაღებული ფული სკოლის ბუხჰალტერს ლ. ოგანეზოვს ჩააბარა და ჩვეული მეთოდით შეუდგა „რევიზიას". ჩვენ უკვე აღარ გვაინტერესებს რას გამოარკვევს ჭურღულია. ჩვენთვის ნათელია მთელი რიგი დანაშაულობანი, რასაც ადგილი აქვს სკოლაში. აი რამდენიმე ფაქტი:

სკოლას 3,62 ჰექტარი სრულმოსავლიანი ვენახი აქვს. აქედან მიღებული ყურძნის დიდი ნაწილი ყოველწლიურად ნიავდება. რთველის დროს ყურძენს არ წონიან. შარშან ბუხჰალტერმა ოგანეზოვმა მოითხოვა, რომ ყურძენი აეწონათ, მაგრამ მის მოთხოვნას ყური არ უგდეს. სკოლის დირექტორმა ბუხჰალტერი ვენახიდან დაითხოვა. რთველი რომ დაამთავრეს, ყურძნის მოსავლის რაოდენობაზე ყალბი აქტი შეადგინეს, რითაც „დაასაბუთეს" ჰექტარზე საშუალოდ 33 ცენტნერი ყურძნის მიღება.

გასულ წელს სკოლის დირექტორმა მჭედლიშვილმა ვენახისათვის ერთი ტონა მავთული შეიძინა. აქედან 127 კილოგრამი სახლში წაიღო. მითვისების კვალი რომ დაეფარათ, მავთულის ხარჯვაზე ყალბი აქტი შეადგინეს. მჭედლიშვილი და მისი მოადგილე ვ. შავლაყაძე ისაკუთრებენ სკოლის კუთვნილ თეთრეულს და სხვა ქონებას.

მჭედლიშვილი სკოლის ქონების მიმთვისებლებს ხელს აფარებს. მაგალითად, სკოლის სამნეო ნაწილის გამგეს ანაშვილს 1950 წელს 57 კილოგრამი შაბიამანი დააკლდა, მაგრამ დირექტორს იგი არ დაუსჯია. ეს არც საკვირველია, რადგან თვითონ მასაც საკმაო რაოდენობით აქვს მითვისებული შაბიამანი. 1949 წელს სასოფლო-სამეურნეო სკოლამ რუისპირის კოლმეურნეობას ღვინო ასესხა. რუისპირელებმა ვალი 1950 წლის დეკემბერში გაისტუმრეს. ამ ღვინიდან 200 ლიტრი დირექტორთან შეთანხმებით ანაშვილმა მითვისა.

1951 წელს ანაშვილმა შეადგინა აქტი, რომ თითქოს სოფელ კონდოლში მცხოვრებმა ვანო ჩარბაძემ გააკეთა მანქანის რემონტისათვის საჭირო ორმო, რაშიც 300 მანეთი მიიღო. სინამდვილეში აღნიშნული სამუშაო სკოლის მოსწავლეებმა შეასრულეს, ფული კი ანაშვილმა მიისაკუთრა. ეს ამბავი იცოდა მჭედლიშვილმა, მაგრამ ამჯერადაც წაუყრია. ასეთი ყალბი აქტები სხვაც ბევრია. 1951 წლის 10 ოქტომბერს შედგენილია აქტი, რომ საკოლმეურნეო ბაზარზე შეძენილი 254 მანეთის პროდუქტები ღვინის გადატანაზე დაიხარჯაო. აქტს დართული აქვს იმ პირთა სია, ვინც „პურმარილს" ესწრებოდა. ამ სიის თავში წერია თვითონ სკოლის დირექტორი და სამნეო ნაწილის გამგე. ანაშვილს შედგენილი აქვს აქტი, რომელშიც აღნიშნულია: 1951 წლის 21 ნოემბრიდან 25 ნოემბრამდე რთველის დროს 700 მანეთის პროდუქტები დაიხარჯაო. ესეც აშკარა სიყალბეა.

სკოლას ერთი ღორი ჰყავს. საბუხჰალტერო „საბუთებს" თუ დავუჯერებთ ამ ღორის მოგება-კვებაზე შარშან თითქოს 2.399 მანეთი დაიხარჯა. სინამდვილეში ღორის კუთვნილი ულუფით სკოლის შენობის ირგვლივ გამართულ გომურებში, საღორეებსა და საქათმეებში, რომლებიც სკოლას არ ეკუთვნის, ბევრი პირუტყვი იკვებება.

სკოლის დირექტორი არც მოსწავლეთა მოტყუილებას ერიდება. შარშან ტექნიკური კულტურების სამინისტროდან წიგნები უფასოდ მიიღეს. მათ შორის იყო „მევენახეობის აგროწესები". მჭედლიშვილმა მოსწავლეებს ათ-ათი მანეთი გადაახდევინა და ამ გზით მიღებული თანხა მითვისა.

სასწავლო-საალმზრდელო მუშაობაში მრავალი ნაკლოვანებაა. სასწავლო პრაქტიკის საათებს არადანიშნულებისამებრ იყენებენ. სკოლის დირექტორი და სასწავლო ნაწილის გამგე ლანძღავენ და ფიზიკურ შეურაცხყოფას აყენებენ მოსწავლეებს. საერთო საცხოვრებლებში სიბინძურეა, მეცადინეობა შეუძლებელია. სკოლის შენობის 4 ოთახი კი დაკავებული აქვთ სკოლის ხელმძღვანელებს.

თელავის მევენახეობის ერთწლიან სასოფლო-სამეურნეო სკოლაში სხვა უმსგავსობაც ბევრია. მაგრამ მათი ჩამოთვლა შორს წაგვიყვანდა. ეფექრობთ, ესეც საკმარისია იმისათვის, რომ საქართველოს სსრ ტექნიკური კულტურების სამინისტრო დაინტერესდეს ამ სკოლის საქმიანობით. დამნაშავენი მკაცრად უნდა დაისაჯონ.

ს. ჟოჟლაძე

„კომუნისტის" საკუთარი კორესპონდენტი

ახალი მშენებლობანი მაშავერაში

დმანისი. (საკ. კორ.). მაშავერელმა კოლმეურნეებმა შარშან ბევრი ახალი ნაგებობა შესძინეს თავიანთ სოფელს: აამენეს ახალი საკლუბო შენობა, რომელსაც მაყურებელთა 250-ადგილიანი დარბაზი აქვს, მოაწყეს და აამუშავეს სახერხი ქარხანა, გახსნეს სადურგლო და სამჭედლო სახელოსნოები, შეუდგენენ სასოფლო წყალსადენის გაყვანას.

კოლმეურნეებმა 40 ახალი საცხოვრებელი სახლი აიშენეს. ამჟამად მაშავერელები გაცხოველებით მუშაობენ წყალსადენის მშენებლობაზე, რომელიც დამთავრდება 1 მაისისათვის.

კრიტიკა და ბიბლიოგრაფია

მნიშვნელოვანი ნაბიჯი ქართულ-ფუძისკენ ლიგერატურაში

საშუალო სკოლასა და პოლიტექნიკურ სასწავლებლებში ტექნიკური ხაზვის სწავლება ავითარებს მოსწავლეთა სივრცითს წარმოდგენას, მეხსიერებას, ხელს უწყობს სხვა საგნების შესწავლა-ათვისებას, აღრმავებს და აფართოებს ტექნიკური აზრის გრაფიკულ ფორმებში გამოსახვა-წაკითხვის ჩვევებს, რომლებიც საჭიროა მათი მომავალი პრაქტიკული მოღვაწეობისათვის.

ქართულ ენაზე დღემდე არ გვქონდა ამ დარგში კარგი სახელმძღვანელო. ამ ხარვეზს ერთგვარად ავსებს ინჟინერ მ. მიქელაძის წიგნი „გეომეტრიული ხაზვა", რომელიც გამოსცა „ტექნიკა და შრომამ" პროფესორ ა. გულისაშვილის რედაქტორობით. წიგნი წარმოადგენს ალბომს. მას დართული აქვს კარგად დალაგებული და შესრულებული ნახაზები.

წიგნი შედგენილია ტექნიკუმების საპროგრამო მასალის შესაბამისად, მაგრამ ტექსტის შინაარსი და ალბომში მოთავსებული ნახაზები სავსებით დამაკმაყოფილებელი და ამომწურავია საშუალო სკოლების VIII და IX კლასების საპროგრამო მასალის წარმატებით შესწავლა-ათვისებისათვის. ყურადღებას იპყრობს ნახაზების შესრულების ტექნიკა, მათი დალაგება საპროგრამო მასალის შესაბამისად, ფორმატი, სტანდარტული შრიფტით ქართულ და რუსულ ენებზე ლამაზად შესრულებული წარწერები, ამოსახსნელი ამოცანების კარგად შერჩეული შინაარსი და თვალსაჩინო გამოსახულებანი, რომლებიც სანიმუშო და სასარგებლო მასალას წარმოადგენენ სასწავლო მიზნებისათვის.

ხაზვის დღემდე არსებული სახელმძღვანელოები ვერ აკმაყოფილებდა ტექნიკუმებისა და საშუალო სკოლების თანამედროვე მზარდ სასწავლო ამოცანებს. ამ მხრივ ინჟინერ მ. მიქელაძის წიგნი „გეომეტრიული ხაზვა" (პირველი ნაწილი) შეიძლება საუკეთესოდ გამოცემად ჩაითვალოს. ეს წიგნი მნიშვნელოვან წვლილს წარმოადგენს ქართულ ტექნიკურ ლიტერატურაში. იგი ჩვენს მოზარდ თაობას კიდევ უფრო შეაყვარებს ტექნიკურ განათლებას. საჭიროა ტექნიკური ხაზვის სრული კურსის ახლო ხანში გამოცემა, რაც დიდ დახმარებას გაუწევს საშუალო სკოლის მასწავლებლებს ტექნიკური ხაზვის უკეთ სწავლების საქმეში.

თ. ჯუღნია

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტის ხაზვა-ხატვის კაბინეტის გამგე

ახალი წიგნები

საქართველოს სსრ პოლიტიკური და მეცნიერული ცოდნის გამავრცელებელმა საზოგადოებამ ცალკე ბროშურებად გამოუშვა საყურადღებო წაკითხული ლექციების სტენოგრამები:

ა. მერცხულავა — **საკავშირო კ. პ. (ბ) წესდების ისტორიის საკითხისათვის.** 1951 წ. გვ. 47, ფასი 1 მანეთი.

ლ. გოკიელი — **მათემატიკის დაფუძნების საკითხები.** 1951 წ. გვ. 34, ფასი 1 მანეთი.

ალ. მოწერელია — **ევკალიპტის კულტურა და მისი მნიშვნელობა.** 1951 წ. გვ. 38, ფასი 1 მანეთი.

კინიგზის მოწინავე საღგური

ამიერკავკასიის რკინიგზის თბილისის განყოფილების სადგურებს შორის ორი თვეა გარდამავალ წითელ დროშას და პირველ ადგილს ინარჩუნებს გურჯაანის სადგურის კოლექტივი (უფროსი ი. გვინცელაძე). გურჯაანელმა რკინიგზელებმა ვაგონების დატვირთვა — გადმოტვირთვის გეგმა დიდი გადაჭარბებით შეასრულეს, მნიშვნელოვნად შეამცირეს ვაგონების მოცდენა. სანიმუშო მდგომარეობაშია სადგურის საისრე მეურნეობა.

სტახანოვური მუშაობის მისაბაძ მაგალითებს იძლევიან სადგურის მორიგე ლ. ნატროშვილი, შემდგენლები ო. ჯანიაშვილი, პ. გელენიძე, გადამბმელი ა. ფურცელაძე, უფროსი მეისრეები შ. სონღულაშვილი, ნ. კვინიკაძე და სხვები.

სადგურის კოლექტივი წარმატებით მუშაობს თებერვალში და ენერგიულად იბრძვის გარდამავალი წითელი დროშის შენარჩუნებისათვის.

პროდუქცია გეგმის გადამეჭვებით

ფოთი. (საკ. კორ.). მუშაობა გააუმჯობესა ხორკომბინატის კოლექტივმა, რომელმაც იანვარში 15 ტონის ნაცვლად 20 ტონაზე მეტი ძეხვეული გამოუშვა. თებერვალში მუშაობის უფრო მაღალი ტემპია აღებული. მოწინავე სტახანოველები გ. ვაშალომიძე, გ. ხოფერია, ა. გერასიმენკო, ე. ბოროდინა და სხვები დღიურ გეგმებს 130-140 პროცენტით ასრულებენ.

ხორკომბინატის კოლექტივი სოციალისტურ შეჯიბრებაშია ჩაბმული ბათუმის ხორკომბინატთან და იმისათვის იბრძვის, რომ თებერვლის გეგმა 5 დღით ადრე შეასრულოს.

ახალი მასწავლებლები

პედაგოგიური კადრების იდეური აღზრდის გაუმჯობესებისათვის

სკოლაში სწავლა-აღზრდის საქმის გაუმჯობესებისათვის გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს პედაგოგიური კოლექტივის იდეურ-პოლიტიკურ მომზადებას.

ამიტომ მასწავლებლობა უდიდესი მონდომებითა და სიყვარულით ეუფლება მარქსისტულ-ლენინურ თეორიას, იყენებს მას პრაქტიკულ მუშაობაში და სულ უფრო მეტ წარმატებებს აღწევს მაღალიდეური და ყოველმხრივ განვითარებული ახალგაზრდა თაობის აღზრდა-განათლების საქმეში.

სასკოლო მუშაობის გამოცდილება ცხადყოფს, რომ მარქსიზმ-ლენინიზმის დაუფლებისათვის თანმიმდევრულად მომუშავე მასწავლებლები ყოველთვის მოწინავენი არიან პედაგოგიურ ფრონტზე და მაღალ იდეურ-თეორიულ დონეზე წარმართავენ მთელ სასწავლო-საალმზრდელო პროცესს. მაგალითად, თბილისის ი. ჭავჭავაძის სახელობის ქალთა 23-ე საშუალო სკოლის გეოგრაფიის მასწავლებელი მ. გეგეჭკორი, რომელიც წარმატებით ეუფლება მარქსისტულ-ლენინურ თეორიას, თავის გაკვეთილებზე არა მარტო სისტემატურ, მტკიცე ცოდნას და მდიდარ პრაქტიკულ ჩვევებს აძლევს მოსწავლეებს პროგრამის ფარგლებში, არამედ ღრმა იდეურ-პოლიტიკურ აღმზრდელობით მუშაობასაც ეწევა; ცოცხალი მაგალითებით აცნობს ბავშვებს ჩვენი ქვეყნის დიად სოციალისტურ მშენებლობას; იგი ავსებს სახელმძღვანელოში მოცემულ მასალას ჟურნალ-გაზეთების ცნობებით. სსრ კავშირის მდინარეების შესწავლის დროს მასწავლებელმა მ. გეგეჭკორმა მოსწავლეებს გააცნო კომუნიზმის დიადი მშენებლობანი, როგორიც არის: ვოლგა-დონის არხი, თურქმენეთის მთავარი არხი, სამხრეთ უკრაინისა და ჩრდილოეთ ყირიმის მორწყვის სამუშაოები, დიდი წყალსაცავებისა და ჰიდროსადგურების მშენებლობა ამ მდინარეებზე. ამასთანავე მოაგონა ბავშვებს სტალინური ხუთწლედების მანძილზე მოპოვებული წარმატებანი მდინარეთა ათვისების საქმეში.

ცხადია, ამ მხრივ ამხ. გეგეჭკორი გამონაკლისს როდი წარმოადგენს. ჩვენი რესპუბლიკის სკოლებში საკმაოდ ბევრი გვყავს ისეთი პედაგოგები, რომლებიც მარქსისტულ-ლენინური თეორიის საფუძვლიანად დაუფლების შედეგად მაღალნაყოფიერად ატარებენ ყოველ გაკვეთილს და ხაუკეთესო შედეგებს აღწევენ სწავლა-აღზრდის ხარისხის გაუმჯობესებისათვის ბრძოლაში.

პოლიტიკური თვითგანათლების დარგში მასწავლებლის წარმატებით მუშაობა მკვეთრად იჩენს თავს არა მარტო გეოგრაფიის, არამედ სხვა სასწავლო დისციპლინის სწავლებაშიც. ავიღოთ თუნდაც ისეთი საგანი, როგორიც არის, მაგალითად, ქიმია, რომლის შესწავლა ფართო გასაქანს იძლევა მოსწავლეთა დიალექტიკურ-მატერიალისტური მსოფლმხედველობით აღზრდისათვის და რომლის წარმატებით სწავლება სკოლაში შეუძლებელია ისე, თუ მასწავლებლის იდეურ-პოლიტიკური დონე მაღალი არ არის.

მეცნიერულ განზოგადებათაგან, რომელთა ათვისებას არსებითი მნიშვნელობა აქვს ქიმიის მოვლენათა დიალექტიკურ-მატერიალისტური ბუნების შემეცნებისათვის, საყურადღებოა ლომონოსოვის, ბუტლეროვის და მენდელეევის გენიალური აღმოჩენები.

ლომონოსოვის კანონი მატერიისა და მისი მოძრაობის მარადისობის შესახებ თანამედროვე ბუნებისმეტყველების ქვაკუთხედს წარმოადგენს. ეს კანონი ეაქარწყლებს ყოველგვარ რელიგიურ თქმულებას სამყაროს წარმოქმნისა და მოსპობის შესახებ. ქიმიის მასწავლებლები ამ კანონის საფუძველზე აცნობენ მოსწავლეებს თვითეულ კონკრეტულ ნივთიერებას, როგორც მატერიის განუწყვეტელი გარდაქმნის გარდამავალ საფეხურს. მაგალითად, ქ. თბილისის ქალთა მე-12 საშუალო სკოლის ქიმიის მასწავლებელმა თ. რობიტაშვილმა, რომელსაც დამთავრებული აქვს მარქსიზმ-ლენინიზმის საღამოს უნივერსიტეტი, გაითვალისწინა ეს დებულებები და მე-8 კლასში ნივთიერებათა წონის მარადისობის კანონის შესწავლისას სახელმძღვანელოში მოცემული მასალა მოხვრხებულად შეავსო სათანადო ცნობებით.

სკოლისა და მასწავლებლის უმნიშვნელოვანეს ამოცანას წარმოადგენს მოსწავლე ახალგაზრდობის აღზრდა საბჭოთა პატრიოტიზმისა და საბჭოთა ეროვნული სიამაყის სულისკვეთებით. ჩვენი სკოლების მოწინავე მასწავლებლები ამ მიმართულებით აცნობენ მოსწავლეებს ქიმიის მიღწევებს სსრ კავშირში, სსრ კავშირის ქიმიური მრეწველობის ამოცანებს, ამ დარგის მეცნიერთა, ინჟინერთა და სტახანოველთა მიღწევებს. მაგალითად, ქ. თბილისის ქალთა მე-2 სკოლის მასწავლებელმა ქ. ტუსკიამ, რომელიც ამჟამად მარქსიზმ-ლენინიზმის საღამოს უნივერსიტეტში სწავლობს, მე-10 კლასში ნავთობის შესწავლისას გააცნო მოსწავლეებს საბჭოთა ქიმიის დიდი მიღწევა — ნავთობის ნახშირწყალბადების კატალიზური გარდაქმნა არომატულ ნაერთებად.

თბილისის ქალთა მე-7 სკოლის მასწავლებელმა ს. ტაბიძემ თუჯის გამოდნობასთან დაკავშირებით მე-11 კლასის მოსწავლეებს გააცნო ფანგბადით გამდიდრებული ჰაერის გამოყენების მეთოდის მნიშვნელობა ქიმიური პროცესების ინტენსიფიკაციისათვის, გაამახვილა მათი ყურადღება საქართველოს სს რესპუბლიკაში მეტალურგიული წარმოების განვითარებაზე (ფეროშენადნობთა და ამიერკავკასიის მეტალურგიული ქარხნები).

პოლიტიკურ თვითგანათლებაზე მომუშავე პედაგოგების მეცადინეობის მიზანშეწონილად დაგეგმვამ, ლექცია-მოხსენებებმა და კონსულტაციებმა, რესპუბლიკურმა და ადგილობრივმა პრესამ, თეორიულმა გასაუბრებებმა, კონფერენციებმა და სხვა ღონისძიებებმა თვალსაჩინოდ შეუწყვეს ხელი იმას, რომ ჩვენი რესპუბლიკის მასწავლებლობა გულმოდგინედ დასწაფებოდა მარქსიზმ-ლენინიზმის შესწავლას, გამოეყენებინა ყველა პირობა სკოლისა და მასწავლებლის წინაშე დასახული ამოცანების წარმატებით გადაწყვეტისათვის.

უეჭველია, ყოველივე ამან უმნიშვნელოვანესი როლი შეასრულა იმ წარმატებათა მოპოვებაში, რომლებსაც გასულ სასწავლო წელს მიაღწიეს საქართველოს სსრ დაწყებითმა, რვაწლიანმა და საშუალო სკოლებმა. ის ფაქტი, რომ გასულ სასწავლო წელს საშუალო სკოლის 13 ათასი კურსდამთავრებულიდან 1.400-მდე მოსწავლის წარმატება ოქროსა და ვერცხლის მედლით აღინიშნა, მჭევრმეტყველურად მოწმობს, რომ საქართველოს სს რესპუბლიკის სკოლები მტკიცედ მიდიან განუხრელი აღმავლობის გზით.

განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია რესპუბლიკის დედაქალაქის სკოლების მეთერთმეტეკლასელთა წარმატება. საშუალო სკოლის კურსი ოქროს და ვერცხლის მედალზე თბილისის სკოლების 613-მა მეთერთმეტეკლასელმა დაამთავრა. ეს შეადგენს XI კლასის მოსწავლეთა 22 პროცენტს. საგულისხმოა, რომ ამ მხრივ თბილისის სკოლები თანმქმის გაუთანასწორდნენ ჩვენი დიდი სამშობლოს დედაქალაქის — მოსკოვის სკოლებს.

ჩვენი სკოლების აღმავლობას მოწმობს კურსდამთავრებულთა პროცენტის გადიდება, მეორეწლიანობის შემცირება, ჩვენი ბავშვების ცოდნის, შეგნებულობის ზრდა. ეს ბუნებრივი შედეგია საერთოდ საბჭოთა სკოლის განვითარებისა, სკოლისათვის იმ ყოველდღიური მზრუნველობისა და დახმარებისა, რასაც ბოლშევიკების პარტია და საბჭოთა ხელისუფლება ახორციელებენ.

პარტიული ორგანიზაციების ხელმძღვანელობასა და დახმარებაზე დიდად არის დამოკიდებული სასკოლო მუშაობის წარმატება. ჩვენი რესპუბლიკის პარტიულ ორგანიზაციებს ამ მხრივ მდიდარი გამოცდილება აქვთ.

სანიმუშოდ შეგვიძლია დავასახელოთ ჩვენი რესპუბლიკის ერთ-ერთი ინდუსტრიული და კულტურული ცენტრის — ქალაქ ქუთაისის პარტიული ორგანიზაცია. პარტიის ქუთაისის საქალაქო კომიტეტი ღრმად წვდება სასკოლო მუშაობის საკითხებს, მისი მუშაკები კარგად იცნობენ სასკოლო მუშაობის ფორმებსა და მეთოდებს. ისინი ხშირად მიდიან სკოლებში და ადგილებზე ხელმძღვანელობენ მათ, ხოლო საჭიროების შემთხვევაში ბიუროს მსჯელობის საგნად აქცევენ სკოლების სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის საკვანძო საკითხებს.

ამიტომაც არის, რომ ქუთაისის სკოლებს თავიანთ მუშაობაში საკმაო წარმატებები აქვთ. გასულ სასწავლო წელს ზოგად საგანმანათლებლო სკოლების 13.607 მოსწავლიდან სკოლა დაამთავრა ან შემდეგ კლასში გადავიდა 12.316 მოსწავლე, რაც საერთო რაოდენობის 90,4 პროცენტს შეადგენს; აქედან საშუალო სკოლის კურსი ოქროს და ვერცხლის მედალზე თბილისის სკოლების 613-მა მეთერთმეტეკლასელმა დაამთავრა. ეს შეადგენს XI კლასის მოსწავლეთა 22 პროცენტს. საგულისხმოა, რომ ამ მხრივ თბილისის სკოლები თანმქმის გაუთანასწორდნენ ჩვენი დიდი სამშობლოს დედაქალაქის — მოსკოვის სკოლებს.

ჩვენი სკოლების აღმავლობას მოწმობს კურსდამთავრებულთა პროცენტის გადიდება, მეორეწლიანობის შემცირება, ჩვენი ბავშვების ცოდნის, შეგნებულობის ზრდა. ეს ბუნებრივი შედეგია საერთოდ საბჭოთა სკოლის განვითარებისა, სკოლისათვის იმ ყოველდღიური მზრუნველობისა და დახმარებისა, რასაც ბოლშევიკების პარტია და საბჭოთა ხელისუფლება ახორციელებენ.

პარტიული ორგანიზაციების ხელმძღვანელობასა და დახმარებაზე დიდად არის დამოკიდებული სასკოლო მუშაობის წარმატება. ჩვენი რესპუბლიკის პარტიულ ორგანიზაციებს ამ მხრივ მდიდარი გამოცდილება აქვთ.

სანიმუშოდ შეგვიძლია დავასახელოთ ჩვენი რესპუბლიკის ერთ-ერთი ინდუსტრიული და კულტურული ცენტრის — ქალაქ ქუთაისის პარტიული ორგანიზაცია. პარტიის ქუთაისის საქალაქო კომიტეტი ღრმად წვდება სასკოლო მუშაობის საკითხებს, მისი მუშაკები კარგად იცნობენ სასკოლო მუშაობის ფორმებსა და მეთოდებს. ისინი ხშირად მიდიან სკოლებში და ადგილებზე ხელმძღვანელობენ მათ, ხოლო საჭიროების შემთხვევაში ბიუროს მსჯელობის საგნად აქცევენ სკოლების სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის საკვანძო საკითხებს.

ამიტომაც არის, რომ ქუთაისის სკოლებს თავიანთ მუშაობაში საკმაო წარმატებები აქვთ

ერთიანი, მშვიდობისმოყვარე გერმანიისათვის

გერმანიის კომუნისტური პარტიის გამგეობის განცხადება

ბერლინი, 21 თებერვალი. (საკდესი). გაზეთმა „ნოიეს დოიჩლანდმა“ დაბეჭდა გერმანიის კომუნისტური პარტიის გამგეობის განცხადება, რომელიც დიუსელდორფში გამოქვეყნდა და შეეხება გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის მიმართვას ოთხი დიდი სახელმწიფოსადმი მთელ გერმანიასთან საზავო ხელშეკრულების დადების შესახებ. განცხადებაში ნათქვამია:

მთელი გერმანელი ერისათვის ისტორიულად დიდმნიშვნელოვან ჟამს გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობა, გამოხატავს რა მთელი გერმანელი ხალხის ნებას, ხმას იძაღლებს მშვიდობის დასაცავად, თავისუფლებისა და ერთიანობის პირობებში ჩვენი ერის არსებობის დასაცავად.

გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის მიმართვა ოთხი დიდი სახელმწიფოსადმი — საბჭოთა კავშირის, ამერიკის შეერთებული შტატების, ინგლისისა და საფრანგეთისადმი—დაარქაროს გერმანიასთან საზავო ხელშეკრულების დადება, გამოხატავს გერმანელი ხალხის უფლებას მიიღოს საზავო ხელშეკრულება, რომელიც გარკვეული ალუთვეს გერმანიას პოტსდამის შეთანხმებით...:

გერმანელი ხალხი სრული უფლებით მოითხოვს, რათა ახლა მაინც, შვიდი წლის შემდეგ, ეს დაპირება შეასრულოს ოთხმა დიდმა სახელმწიფომ. გერმანიის ეს მოთხოვნა ემყარება არსებულ საერთაშორისო სამართლის საფუძველს, რომელიც გერმანიის მომავლისათვის შეიქმნა პოტსდამის შეთანხმებით გერმანელი იმპერიალისტების მიერ გამოწვეული ომის დასასრულს.

ჩვენი სამშობლოს დასავლეთ ნაწილში მოსახლეობის დიდი უმრავლესობა აღსავსეა ძლიერი მისწრაფებით მშვიდობისა, თავისუფლებისა და გერმანელთა სამშობლოს ერთიანობისადმი. ჩვენი სამშობლოს მოსახლეობას სურს, ბოლოს, თავი დაანებოთ მოსალოდნელი ომის კოშმარს და მოსპოს ის შეუფერებელი მდგომარეობა, რომელშიც ჩვენი გერმანელი ერი იმყოფება. თავადისწინებს რა ამ მისწრაფებას, ჩვენი ხალხი ადენაუერის მთავრობისგან მოითხოვს, რათა მან გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის მიერ მისთვის გაგზავნილი წერილის შესაბამისად მზარი დაუჭიროს ოთხი დიდი სახელმწიფოსადმი მიმართვას გერმანიასთან საზავო ხელშეკრულების რაც შეიძლება მალე დადების შესახებ.

გრძნობს რა დიდ პასუხისმგებლობას ერის წინაშე, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობამ გადადგა საჭირო ნაბიჯი ამჟამად არსებულ პირობებში გერმანიის საკითხის მშვიდობიანი გადაჭრისათვის.

გერმანელი ხალხი ფედერალური რესპუბლიკის პასუხისმგებელი პოლიტიკური მოღვაწეებისაგან — ფედერალური პარლამენტის, პოლიტიკური პარტიების მოღვაწეებისაგან მოელის, რომ ისინი მთელ პარტიულ-პოლიტიკურ ინტერესებს უკანა პლანზე გადასწევენ და მთელ თავის გავლენას იმისათვის გამოიყენებენ, რომ მხედველობაში მიღებულ იქნას ხალხის მისწრაფება საზავო ხელშეკრულების დადებისადმი.

არაფინ არ უნდა დარჩეს განზე ახლა, როცა საქმე ეხება ხალხის მშვიდობიანი მომავლის უზრუნველყოფას...

გერმანიის კომუნისტური პარტია აცხადებს, რომ იგი მზად არის ითანამშრომლოს ყველა პარტიასთან, ყველა დემოკრატიულ ორგანიზაციასთან, ყველა სარწმუნოების წარმომადგენლებთან, ყველა პოლიტიკოსთან და მოსახლეობის ყველა ფენის ადამიანებთან, რათა ხელი შეუწყოს იმას, რომ წარმატებით დაგვირგვინდეს გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის მიმართვა ოთხი დიდი სახელმწიფოსადმი საზავო ხელშეკრულების დადების შესახებ.

განცხადების დასასრულს ნათქვამია:

გერმანიის კომუნისტური პარტია საზეიმოდ აცხადებს, რომ იგი ყველა მშვიდობისმოყვარე ადამიანთან ერთად მზარს დაუჭერს ყოველ მთავრობას, რომელიც მზად იქნება მზარი დაუჭიროს საზავო ხელშეკრულების დადების დაჩქარების ინიციატივას, წინააღმდეგობა გაუწიოს მილიტარიზმის აღორძინებას და ხელი შეუშალოს ძმათა ომის მომზადებას.

დაყოვნება არ შეიძლება. ჩვენ დიდი შესაძლებლობა გვეძლევა ომის თავიდან აცილებისა და გერმანიის ერთიანობის აღდგენისათვის. უკუაგდეთ ყოველგვარი უთანხმობა!

ძრის მთელი ეიწრო პირადი ინტერესები!

წინ, სამართლიანი საზავო ხელშეკრულებისათვის, რომელიც მოგვიტანს ჩვენი სამშობლოს ერთიანობას და მშვიდობას თავისუფლებისა და დემოკრატიის პირობებში.

მშვიდობის მსოფლიო საბჭოს თავმჯდომარის ფრედერიკ ჟოლიო-კიურის მიმართვა

პარიზი, 21 თებერვალი. (საკდესი). მშვიდობის მსოფლიო საბჭოს საინფორმაციო სამსახურმა პარიზში გამოსაქვეყნებლად გადასცა მსოფლიოს ხალხებისადმი მშვიდობის მსოფლიო საბჭოს თავმჯდომარის ფრედერიკ ჟოლიო-კიურის 1952 წლის 19 თებერვლის მიმართვის ტექსტი, რომელშიც ნათქვამია:

ხალხებს აქვთ საერთო განძი, როგორიც არის მეცნიერების, ლიტერატურისა და ხელოვნების დიდი ნაწარმოებნი, რომლებიც საუკუნეთა მანძილზე ინარჩუნებენ გენის ნიშანს. ეს კულტურული მემკვიდრეობა კაცობრიობისათვის დაუშრეტელი წყაროა. იგი საშუალებას აძლევს სხვადასხვა ეპოქის ადამიანებს გაიცნონ ერთმანეთი, გაიგონ, თუ რა აკავშირებს მათ ამჟამად. იგი ექმნის მათ საყოველთაო თანხმობისა და ურთიერთგაგების პერსპექტივებს. იგი ყოველ წუთს უნერგავს მათ ადამიანისადმი რწმენას იმ მომენტში, როცა უფრო მეტად, ვიდრე ოდესმე, საჭიროა ურთიერთგაგება.

ჩვენ მოვუწოდებთ ხალხებსა და ყველა ადამიანს ერთობლივად სცენ პატივი იმათ, ვინც მათი შრომების მნიშვნელობის მეოხებით მთელ კაცობრიობას ეკუთვნის. 1952 წლის 26 თებერვალს სრულდება 150 წელი ვიქტორ ჰიუგოს დაბადებიდან, რომლის მონუმენტალური შრომები ასახავენ მისი საუკუნის მისწრაფებას სამართლიანობისა, თავისუფლებისა და პროგრესის იდეებისადმი; 1952 წლის 4 მარტს სრულდება 100 წელი დიდი რუსი მწერლისა—ნიკოლოზ გოგოლის გარდაცვალებიდან, რომელიც თავისი ხალხისადმი სიყვარულმა მიიყვანა ადამიანთა ძმობის დიად იდეამდე; 1952 წლის 15 აპრილს სრულდება 500 წელი ხელოვნების მოღვაწის ლეონარდო და ვინჩის დაბადებიდან, რომლის მრავალმხრივი ნიჭიც გამოიხატა ერთსა და იმავე დროს ფერწერის შედევრებით და მასი შემოქმედებითი აზრით, რაც თანამედროვე გამოგონებათა წინამორბედი გახდა; 1952 წლის მაისში შესრულდება 1000 წელი ალმოსავლეთის სამყაროს დიდი ექიმის, ფილოსოფოსისა და მეცნიერის ავიცენას გარდაცვალებიდან, რომლის მთელი მოღვაწეობაც ემყარება პეშმარიტებისა და გონების მოთხოვნებს.

ამ ადამიანებს აქვთ უფლება, რომ ისინი ხალხებმა ცნონ.

ხალხები და ადამიანები გაიცნობენ ერთმანეთს, მიუხედავად იმ უთანხმოებისა და იმ საზღვრებისა, რომლებიც მათ ჯერ კიდევ ჰყოფენ. ისინი მოგზაურობენ გამდიდრებენ საერთო განძს. ისინი ამრიგად წინ წაიწევენ იმ გზით, რომელზეც გაიფენტება ბნელი და ამობრწყინდება ნდობასა და მშვიდობაზე დამყარებული მომავლის გარიჟრაჟი.

დასავლეთ სახელმწიფოთა ლონდონის თათბირის გავლ

ლონდონი, 20 თებერვალი. (საკდესი). რეიტერის საგენტომ გადმოგვცა კომუნიკე ინგლისის, საფრანგეთისა და ამერიკის შეერთებული შტატების საგარეო საქმეთა მინისტრებისა და ბონის ფედერალურ ადენაუერთან ამ სამი მინისტრის მოლაპარაკების შესახებ.

როგორც კომუნიკედან ჩანს, ლონდონის თათბირი მიმდინარეობდა დასავლეთ ევროპაში საომარი მზადების გაძლიერების ნიშნით. თათბირზე ძირითადი ადგილი ეკავა ევროპული ეროვნული არმიის შექმნის საკითხს, რომლის ირგვლივ ამპერიალისტები ამპარებენ ჰიტლერული ვერმახტის აღორძინებას.

ლონდონის თათბირზე მონაწილეებმა, რომლებიც იძულებული არიან ანგარიში გაუწიონ ამ იმპერიალისტური ბლოკებისადმი საფრანგეთისა და გერმანიის ხალხთა მზარდ წინააღმდეგობას, ცოტა ღონე რიფი იხმარეს, რომ „შეეთანხმებინათ“, ერთი მხრივ, გერმანელ რევანშისტთა მოთხოვნები, რომელთაც სურთ თანასწორუფლებიანი მდგომარეობა დაიკავონ იმპერიალისტთა ბანაკში, და, მეორე მხრივ, საფრანგეთის მმართველთა მოთხოვნები, ეს „უკანასკნელნი სურვლებთ აშინებენ ამერიკის გეგმებს. მაგრამ სურან წარმოგვიდგინონ ეს გეგმები, როგორც ზრუნვა საფრანგეთის „უშიშროებისათვის“.

როგორც ცნობილია, საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრს სურს, რომ ამერიკის შეერთებულმა შტატებმა და ინგლისმა იმის „გარანტია“ მისცენ, რომ საფრანგეთს შეთანხმებული დასავლეთ გერმანიის პირისპირ არ მიატოვებენ. ასეთი „გარანტიები“, რაც, რა თქმა უნდა, მეტად პრობლემატურია, საფრანგეთის რევანშის ესპირო�ებოდა იმისათვის, რომ მოეტყუებინა საზოგადოებრივი აზრი და მოიჩვენებინა ლონდონის გარიგება საფრანგეთის უშიშროების უზრუნველყოფად. როგორც კომუნიკედან ჩანს, ამერიკის შეერთებულმა შტატებმა და ინგლისმა, თუმცა ბუნდოვანად, მაგრამ მაინც აღნიშნეს, რომ ესმით საფრანგეთის პოზიცია. მათ განაცხადეს, რომ „მუდამ დაინტერესებული“ ირიან ევროპის „თავდაცვის“ შექმნით. ადენაუერს კ დაპირდნენ, რომ მომავალში დასავლეთი გერმანია სათანადო უფლებებს მიიღებს ატლანტიკის კავშირში. უკვე მას შემდეგ, რაც გაფორმდება „ევროპის არმიის“ შექმნა, დასავლეთი გერმანია წარმოდგენილი იქნება ატლანტიკის პაქტის ყველა ორგანოში.

უნდა აღინიშნოს, რომ ლონდონის თათბირზე მოხდა შეთანხმება ამ გერმანელ სამხედრო დანაშავეთა განაჩენების გადასინჯვის შესახებ, რომლებიც ამჟამად პატიმრობაში არიან დასავლეთ გერმანიაში.

ვაშინგტონის კარნახით

პარაღა, 20 თებერვალი. (საკდესი). ტელეგრაფის საგენტო გადმოგვცემს:

პორტუგალიის სალაზარის მთავრობა ჩრდილოეთ ატლანტიკის კავშირის საბჭოს ლისაბონის მომავალი სესიის წინ მასობრივად ანატიმრებს თავლასჩინო დემოკრატებს; დაპატიმრებულთა შორის არის პრეზიდენტობის ყოფილი კანდიდატი „ეროვნული დემოკრატიული მოძრაობისაგან“ პროფესორი რუი ლუიზ გომესი. გარდა ამისა დაპატიმრეს ამ მოძრაობის სხვა ლიდერები: პროფესორი ჟოზე მორგადო, მუშა ალბერტინო მესედო, ინჟინერი ვირჯილიო მოურა.

არჩევნები ლიბიაში

რომი, 20 თებერვალი. (საკდესი). გაზეთები იუწყებიან, რომ გუშინ ლიბიაში მიმდინარეობდა ახალი სამეფოს პირველი პარლამენტის „წარმომადგენლთა პალატის“ წევრთა არჩევნები არჩევნებში მოაწყეს ინგლისის ხელისუფლებამ იმისათვის, რომ ჩამოაყალიბონ „წარმომადგენლობითი“ ორგანო, რომელიც შესაძლებელს გახდის „დემოკრატიული კანონიერების“ ფორმა მიეცეს მეფე იდრის ეს-სენუსის მმართველობას.

ამომრჩეველთა სიებში შეტანილ იქნენ მხოლოდ 21 წლის ასაკს მიღწეული მამაკაცები.

როგორც გაზეთი „ტესაკერო“ აღნიშნავს, საქალაქო და სასოფლო ცენტრებისათვის შემოღებულ იქნა სხვადასხვა საარჩევნო სისტემა. ქალაქებში კენჭისყრა ფარული იყო, სოფლებში ეკ „ხმის დამთვლელები“ ეკითხებოდნენ წერაკითხვის უცოდინარ მცხოვრებთ, რომელ პარტიას აძლევენ ხმას, და ამ საფუძველზე „ავსებდნენ საარჩევნო ბიულეტენებს“.

გუშინდელი დღის განმავლობაში არჩევნების დროს სეროზული ინციდენტები მოხდა მოსახლეობასა და პოლიციას შორის. ქალაქ მისურატაში პოლიციამ სროლა აუტეხა. ამმრჩეველებს, მოკლა ერთი კაცი და დაჭრა 60-ზე მეტი. დაჭრა ავრეთვე ერთი ინგლისელი ოფიცერი, რომელიც „წესრიგს ამყარებდა“ საარჩევნო უბანში. სხვა ინციდენტები მოხდა ტარხუნაში (ტრიპოლის სამხრეთ-აღმოსავლეთით) და ბიანში (ტრიპოლის სამხრეთით). ორივე შემთხვევაში პოლიციამ სროლა აუტეხა ამმრჩეველს საპროტესტო დემონსტრაციების მოწყობის ცდის გამო.

დასავლეთ სახელმწიფოთა ლონდონის თათბირის გავლ

ლონდონი, 20 თებერვალი. (საკდესი). რეიტერის საგენტომ გადმოგვცა კომუნიკე ინგლისის, საფრანგეთისა და ამერიკის შეერთებული შტატების საგარეო საქმეთა მინისტრებისა და გუშინ დამთავრებული მოლაპარაკებისა და ბონის ფედერალურ ადენაუერთან ამ სამი მინისტრის მოლაპარაკების შესახებ.

როგორც კომუნიკედან ჩანს, ლონდონის თათბირი მიმდინარეობდა დასავლეთ ევროპაში საომარი მზადების გაძლიერების ნიშნით. თათბირზე ძირითადი ადგილი ეკავა ეგრეთწოდებული ევროპის არმიის შექმნის საკითხს, რომლის ირგვლივ ამპერიალისტები ამპარებენ ჰიტლერული ვერმახტის აღორძინებას.

ლონდონის თათბირის მონაწილეებმა, რომლებიც იძულებული არიან ანგარიში გაუწიონ ამ იმპერიალისტური ბლოკებისადმი საფრანგეთისა და გერმანიის ხალხთა მზარდ წინააღმდეგობას, ცოტა ღონე რიფი იხმარეს, რომ „შეეთანხმებინათ“, ერთი მხრივ, გერმანელ რევანშისტთა მოთხოვნები, რომელთაც სურთ თანასწორუფლებიანი მდგომარეობა დაიკავონ იმპერიალისტთა ბანაკში, და, მეორე მხრივ, საფრანგეთის მმართველთა მოთხოვნები, ეს „უკანასკნელნი სურვლებთ აშინებენ ამერიკის გეგმებს. მაგრამ სურან წარმოგვიდგინონ ეს გეგმები, როგორც ზრუნვა საფრანგეთის „უშიშროებისათვის“.

ეგიპტეში

კაირო, 20 თებერვალი. (საკდესი). ეგიპტეში ინგლისელ ოფიცრებს ეშინიათ ქუჩაში გამოსვლა. ინგლისელ ოფიცრებს ეშინიათ, ეგიპტელ ხალხს ეშინია ინგლისელ ოფიცრების